პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

[illegible]

კომუნისტი

ს. ა. ს.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და ს. ს. საქ. მ. კ. პ. ც. კ. და
მუშ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24.
მუშაობს 10—4ს

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 9-დან 10 საათამდე

ტელეფონი { 14—78. რედაქტორის. 16—58. მდივანის.

ხელის მოწერის პირობები [illegible] მუშა-მოსამსახურეებისათვის 65 კ. დაწესებულებისათვის ქალაქში 85 კ. ქალაქ გარეშე მცხოვრებთათვის—95 კ. განცხადებები: 20 კ. სტრიქონი. [illegible] განცხადება მოწმობის დაკარგვის შესახებ—50 კ. განმეორებულ განცხადებებს—შეღავათი 15 პროც. [illegible]

№ 128 (983) პარასკევი, 6 ივნისი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კაპ. (500 მილ.) № 128 (983)

დღიური

— შაბათს დაიწყო მუშების გაფიცვა ინგლისის სამეფო გამოფენაზე.

— გადადგა რუმინეთის მთავრობის თავმჯდომარე ბრატიანუ.

— აჯანყება ალბანეთში. აჯანყებულებმა აიღეს ალბანეთის სატახტო ქალაქი.

— ამერიკა სესხს არ აძლევს გერმანიას.

— ინგლისის თემთა პალატამ [illegible] უფლება.

სოციალ-მოღალატეების პროგრამა

ჩვენ ხშირათ გვითქვამს და გაგვიმეორებია, რომ მენშევიკური სოციალიზმი არის დღეს (დღეს უფრო, ვინემ როდისმე) იარაღი რეაქციონური ბურჟუაზიის ხელში პროლეტარიატის წინააღმდეგ. მენშევიკური სოციალდემოკრატია დაიბედა ბურჟუაზიას, შეიქნა მისი მსახური და ამ სამსახურში სწრის ჩააბას ის ნაწილი მუშათა კლასის, რომელიც ჯერ კიდევ მისდევს მას. გაშიშვლებული რეაქცია არ არის ისე სახიფათო ჩვენი დროის განმანთავისუფლებელი მოძრაობისთვის, როგორც ოფიციალური სოციალ-დემოკრატია, მეორე ინტერნაციონალის პარტიები. სოციალისტური პარტიების „მოღვაწეობა“ იძლევა ყოველდღე ყველგან ამის დამადასტურებელ მაგალითებს. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვყავს საფრანგეთის სოციალისტური პარტია, რომლის ყრილობის შესახებ მოდის ცნობები პარიზიდან.

როგორც ცნობილია, საფრანგეთის სოციალისტები შედიან მემარცხენე ბურჟუაზიულ ბლოკში, რომელმაც გაიმარჯვა საპარლამენტო არჩევნებში 18 მაისს. საერთო შეხედულებამ მთელ რიგ შინაურ და საგარეო პოლიტიკის კითხვებზე დაუკავშირა ეს „მუშათა“ პარტია ბურჟუაზიულ რადიკალურ პარტიას, რომლის ხელში გადადის დღეს საფრანგეთის მართვა-გამგებლობის საქმე.

სოციალისტები წინეთ გამოდიოდნენ ბლოკის, დაკავშირების წინააღმდეგ რადიკალებთან. მაგრამ მას შემდეგ დრომ განვლო და რევოლიუციის საფრთხემ დააშინა არა მარტო ბურჟუაზია, არამედ ეს უბადრუკი სოციალისტებიც. მსოფლიო ომის დროს ისინი ამოუდგნენ გვერდში თავიანთ ბურჟუაზიას და ერთათ გარეკეს მუშები და გლეხები სასაკლაოზე, სხვა ქვეყნის მუშებისა და გლეხების ამოსაჟლეტათ და, რასაკვირველია, ბურჟუაზიის გასამდიდრებლად. ამას სჩადიოდნენ ისინი „სამშობლოს“ დაცვის მომიზეზებით. სამშობლო თითქოს „დაიცვეს“, მაგრამ მუშათა საერთაშორისო სოლიდარობა, რომელსაც ისინი სიტყვით აღიარებდენ, დამარხეს და ამდენად თვით შექნენ დამარხული რევოლიუციისათვის.

თავისთავად ცხადია, რომ ამდენი დანაშაულების შემდეგ ვის უნდა გაუკვირდეს ის, თუ დღეს იგივე საფრანგეთის სოციალისტები ადგენენ თავიანთ ყრილობაზე, რომ გერმანიამ გადაიხადოს მოკავშირეების სასარგებლოთ კონტრიბუცია და მიიღოს ეგრედწოდებული ექსპერტების გეგმა ამ კონტრიბუციის გადახდისა.

როგორც ვიცით ეს გეგმა შეიცავს გერმანიის მოკვლას პოლიტიკურათ და ეკონომიურათ, მის სრულ გასრესას. მაგრამ უმთავრესი აქ ის არის, რომ ეს უბედურება თავზე ატყდება განსაკუთრებით გერმანიის პროლეტარიატს, რომელმაც უნდა გადაიხადოს ეს კონტრიბუცია. მან უნდა გაამდიდროს როგორც უცხოეთის, ისე თავისი ქვეყნის ბურჟუაზია. ექსპერტების გეგმა შეიცავს სწორეთ მოკავშირეთა და გერმანიის გაერთიანებული (პროლეტარიატის ხარჯზე, ვიმეორებთ) ბურჟუაზიის გამდიდრების მიზანს. და სანამ ამ მიზანს არ მიაღწევენ ისინი, მანამ განძრახულია რურის ოკუპაციის გაგრძელებაც, რაც თავის თავათ კიდევ ზედმეტ ხარჯათ აწვება ზურგზე ისევ გერმანიის მუშათა კლასს. და აი ამ ოკუპაციის გაგრძელების მომხრეთ გამოდის პუანკარესა და ერიოსთან ერთათ საფრანგეთის მენშევიკები, ეს „ინტერნაციონალისტური“ და „მუშათა“ პარტია.

საკითხავია, სადღა არის განსხვავება ბურჟუაზიულ რეაქციასა და მენშევიკურ სოციალიზმს შორის? ეს განსხვავება აღარ არის, ის წაიშალა. და სწორეთ ეს უნდა დაინახონ ყველა ქვეყნის მუშებმა. ამას ხედავს დღეს გერმანიის პროლეტარიატი, რომელიც თავის ზურგზე გამოსცდის მომავალშიც „სოციალისტების“ გადაწყვეტილების მთელ სიმწვავეს. მაგრამ ეს უნდა გახდეს აშკარა საფრანგეთის მუშათა კლასისათვისაც, რომელიც თავის საგრძნობ ნაწილში ისევ მისდევს მოღალატე და გამცემ სოციალისტებს.

ამ შეგნების და აქედან შესაფერი დასკვნების გამოტანის გარეშე, იმ დასკვნების, რომლებიც გამანადგურებელი უნდა დარჩეს მენშევიკებისათვის ყველა ქვეყნებში, შეუძლებელია პროლეტარიატის ბრძოლის დათავება გამარჯვებით.

აქეთკენ უნდა იყოს მიმართული კომპარტიების მთელი მუშაობა ყველა ქვეყნებში. მხოლოთ ამაში უნდა გამოიხატოს ჩვენი ძმური პარტიების უმთავრესი ბრძოლა სოციალისტური რევოლიუციისათვის.

მწერალთა საზოგადოება თუ კონტრ-რევოლიუციონერთა ხროვა?

„კომუნისტში“ და „მუშაში“ გამოქვეყნდა აღმაშფოთებელი ფაქტები ჟურნალ „კავკასიონის“, გაზ. „ქართული სიტყვისა“ და ეგრეთ წოდებული „შორი ნათელის“ მესვეურთა „მოღვაწეობის“ შესახებ.

ჩვენს წინ გადაიშალა სრული სურათი გარეწრობისა, რომლის საშუალებით ჩვენებური ინტელიგენციის ერთი ნაწილი, „პოეტებისა“ და „კრიტიკოსების“ ქურქში გახვეული, კვლავ განაგრძობს ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, თვალებში გვაფურთხებს და ჩვენ კი [illegible] ვერ მიგვდგია. პირიქით, ხელს ვუწყობთ თურმე მათი ქვენა აზრების და შავი ზრახვების გავრცელებას.

ერთი ვიკითხოთ: ვინ არიან ეს სოლომონ თავაძეები, ([illegible]) ბოქსიშვილები, გრიშაშვილები, აბაშელები, გომართელები, რუხაძეები, ინდოროყვები, ქაჩქელები და სხვები? ვინ მისცათ მათ საბჭოთა ხელისუფლების დროის ასეთი ურცხვი თავხედობის უფლება? ვინ მისცათ მათ უფლება პროლეტარული რევოლიუციისა და მშრომელთა კლასის დიქტატურის საწინააღმდეგოთ ჩხირკედელაობისა? რა გაუკეთებიათ მათ ან რა უნდა გააკეთონ მომავალში ქართველი მშრომელი ხალხისათვის? ბურჟუაზიის ამ მაჩანჩალა კუდებს განა შეუძლიათ „თავის“ მაგიერობა გასწიონ და სასარგებლო აზრები გაავრცელონ ოდესმე მშრომელ ხალხში? იქნებ ლექსების წერა და გომართელისებური წყალწყალა კრიტიკა, მოკლებული ყოველგვარ სერიოზულ ხასიათს, გამოდგება ამ შემთხვევაში? რა ფასი აქვს დღეს წერას, ნიჭს, ტალანტს (კიდევაც რომ გაჩნდეს ეს ამ „მწერლებს“) თუ ადამიანის აზროვნებას ამ სიმდიდრეს გაწყვეტილი აქვს კავშირი მუშათა კლასის გამარჯვების ბედთან? ეს რაში გამოადგება და ვის რად უნდა სოლომონ თავაძის ლექსი, (რასაკვირველია, გარდა კონტრ-რევოლიუციონერებისა, რომლებსაც ძალიან ესიამოვნებათ ის) ძლევამოსილი პროლეტარიატის გამარჯვებული ბრძოლის ხანაში? დღეს, როცა დედამიწის ყოველ კუთხეში გაისმის სიტყვა ლენინი, ლენინიზმი, კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხელისუფლება და სხვა განა სასაცილო და საზიზღარი არ ხდებიან ყველას თვალში რამიშვილები, ჯუღელები, ხომერიკები, და მათი მსგავსი მოღალატე ავანტიურისტ-ავაზაკები? რა ფასი აქვთ ამ ყაჩაღთა ბრბოების მოკავშირე და მათ სულის ჩამდგმელ, იდეურათ გაკოტრებული არამზადებისადმი მიძღვნილ ლექსებს და ტრფიალს?

ჩემის აზრით მათი ერთად ერთი ფასი არის კონტრ-რევოლიუციონური. ყველა ამ გვარი უკაცრავად პასუხია „ნაწარმოები“ კონტრ-რევოლიუციონურია, ხოლო მათი შემქმნელები წმინდა წყლის კონტრ-რევოლიუციონერები, რომლებიც ჩვენსავე კალთას აფარებენ თავს, პირში კიდევაც გვეღრიჯებიან, პირს უკან კი საფლავს გვითხრიან.

ასეთია მათი ფასი და ჩვენც ღირსეულათ უნდა გაუმასპინძლდეთ გათავხედებულ კონტრ-რევოლიუციონერებს.

საკვირველია, რომ ამ თავხედობას ადგილი აქვს თბილისში, საბჭოთა საქართველოს ცენტრში. ჩვენთვის გაუგებარია: როგორ შეიძლება ამის მოთმენა. პროვინციელი მშრომელი მასსა უფრო სასტიკია ასეთ შემთხვევებში. იგი არასოდეს არ აპატიებს რუსთაველის ქუჩაზე მოყიალე თავაძეებისა და ბოქსიშვილების თანა „მწერლებს“ უბრალო, გადაქანებულ სიტყვასაც კი საბჭოთა ხელისუფლებისა და რევოლიუციის წინააღმდეგ მიმართულს.

ტყვილათ კი არ დამაბარეს ერთ-ერთი მაზრის მშრომელებმა, როცა თბილისში გამოვემგზავრე: იქ მაგარი არამზადები აფარებენ თავს და ყურადღება მიაქციეთო.

ჩვენი მწერლობა (თუ იგი მართლა მწერლობაა და არა კონტრ-რევოლიუციონერთა საბუდარი) მშრომელი ხალხის იდეალებსა და რევოლიუციას უნდა უმღეროდეს. არ გიყვართ ეს? მაშინ ნება გვიბოძეთ გიწოდოთ კონტრ-რევოლიუციონერები და მოგეპყრათ, როგორც ეს შეეფერება ამ ჯურის ვაჟბატონებს.

ა. ფულიძე.

ადგილობრივი ფინანსები ა.-კავკასიაში

III

ა. კავკასიაში სახელმწიფოსა და ადგილობრივ შემოსავლის განსაზღვრა განაწილება პირველად ჩამოყალიბდა ა. კ. ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. 2 აპრილის დეკრეტით.

ამ კანონის გამოსვლამდე, თვითეულ რესპუბლიკაში, რომელიც ა. კ. ფედერაციაში შედის, ადგილობრივ ფინანსებს აქვთ თავისი ისტორია.

ს. ს. საქართველოში, მისი გასაბჭოების დღიდან დღემდის ადგილობრივი ფინანსების ისტორია შეიძლება დაიყოს სამ ხანათ. პირველი—1921 დასაწყისიდან სეპარატიულ, თავის კანონის გამოცემამდის ადგილობრივ ფინანსების შესახებ, (ეს კანონი საქართველოში გამოვიდა 1922 წლის 6 თებერვალს), მეორე ხანა—ამ კანონის გამოცემიდან საერთო ა. კ. ფედერატიულ კანონის გამოცემამდის (ეს კანონი გამოვიდა 1923 წლის 2 აპრილს) და მესამე ხანა—აღნიშნულ ფედერატიულ კანონის გამოცემიდან დღემდის.

პირველ ხანაში არავითარი კანონმდებლობა ადგილობრივ ფინანსების შესახებ საქართველოში არ არსებობდა და ადგილობრივი მოთხოვნილებანი კმაყოფილდებოდნენ სახელმწიფო ხაზინიდან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს გასაბჭოება, შედარებით სხვა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან, გვიან მოხდა. მის გასაბჭოებამდის კი თითქმის ყველგან არსებობდა ადგილობრივი ორგანოები და თვითეულს მათგანს ჰქონდა რაიმე შემოსავალი გადასახადების და არაგადასახადების ხასიათისა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მალე იქნა აღიარებული ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მაშასადამე ადგილობრივ ორგანოთ მიეცათ შესაძლებლობა როგორც გადასახადების აკრებისა, აგრეთვე კომუნალურ მეურნეობის პროდუქციის გაყიდვისა. მართალია ამ ხანაში არ არსებობდა კანონი ადგილობრივ ფინანსების შესახებ და ადგილობრივი ხარჯები უმთავრესად სახელმწიფო ხაზინიდან იფარებოდა, მაგრამ ადგილობრივ ორგანოთ მაინც არ შეუწყვეტიათ მთლიანად როგორც გადასახადების აკრება, აგრეთვე კომუნალურ მეურნეობის პროდუქციის გაყიდვა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ხანაში გადასახადები, მართალია იკრიბებოდა, მაგრამ მეტად მცირედ და სრულიად უსისტემოთ. რაც შეეხება კომუნალურ მეურნეობას, იგი ერთის მხრივ იმდენად დაზიანებული იყო, რომ რაიმე თვალსაჩინო შემოსავლის მოტანა მას არ შეეძლო, თუ წინასწარ არ იქნებოდა იგი აღდგენილი და მეორეს მხრივ კომუნალური მეურნეობის სამსახური სრულიად უფასო იყო განსაკუთრებით მუშა-მოსამსახურეთათვის, ამ ხანაში ხალხი ნელ ნელა გადაეჩვია გადასახადის გადებას და თვით საგადასახადო აპარატიც მოიდუნდა.

მეორე ხანა—ე. ი. 6 თებერვლის კანონის გამოცემის შემდეგ მკვიდრდება კანონიერება ადგილობრივ ფინანსებში და მტკიცდება ის შეხედულება, რომ ადგილობრივი საჭიროებანი დაკმაყოფილებულ უნდა იქნას ადგილობრივი საშუალებებით. მაგრამ მთავარი ნაკლოვანებანი აღნიშნული კანონისა იმაში მდგომარეობდა, რომ ნათლად და მტკიცეთ არ იყო ჩამოყალიბებული, სახელდობრ, რა ხარჯები ეკისრებოდა ადგილობრივ ორგანოს და რა სახელმწიფოს. გარდა ამისა მეტად მცირე შემოსავლის წყაროები ეძლეოდათ ადგილობრივ ორგანოებს და ამ შემოსავლით არსებობა არ შეეძლოთ. ძნელი იყო ამ შემოსავლით არსებობა მით უმეტეს, რომ კომუნალური მეურნეობა ჯერ კიდევ აღდგენილი არ იყო და მის აღსადგენათ საჭირო იყო დიდი თანხები, რაც ადგილობრივ ორგანოთ არ გააჩნდათ. ამიტომ იგინი იძულებულნი იყვნენ მიემართათ ისევ სახელმწიფო ხაზინისათვის და მთავრობისაგან ეთხოვათ დახმარება, დოტაციის სახით. მაგრამ არც მთავრობის მიერ გაღებული დოტაცია აკმაყოფილებდა ადგილობრივ ორგანოებს და თავის მიმდინარე ხარჯებს იგინი ფარავდენ კანონის გარეშე დაწესებულ გადასახადებით.

1922 წელში საქართველოს ადგილობრივ ორგანოთ შემოსავალი ჰქონდათ—გადასახადებით 406—995 მან. არაგადასახადის ხასიათის შემოსავალი 2,560,176 მან. სულ 2,967,171 მან. ოქროთი (აქ შედის ქ. თბილისიც, არ არის ცნობები რამდენიმე მაზრიდან) ე. ი. მაზრას დოტაციის სახით მიეცათ 418 787 მან (სხვა მაზრების შესახებ ცნობა არა გვაქვს). 1924 წლის ბიუჯეტში კი მარტო თბილისს აქვს ნავარაუდევი შემოსავალი გადასახადებით 480,000 მან. ამ მაგალითიდან სჩანს რამდენათ სუსტი იყო საგადასახადო ვალდებულებანი 1922 წ.

მხოლოდ მესამე ხანაში, 1923 წელში, ა/კ. ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს 2 აპრილის დეკრეტის გამოცემით ადგილობრივი ფინანსები ყალიბდება მტკიცე უფლებრივ ფარგლებში. ამ კანონის გამოქვეყნების შემდეგ აქამდის არსებული ადგილობრივი მეურნეობის დეზორგანიზაცია ადგილს უთმობს უფრო გეგმა-შეწონილ სწორხაზიან მუშაობას.

ჩვენ მიერ აღნიშნულს პირველს და მეორე ხანაში თითქმის არსად არ არსებობდა ადგილობრივი ბიუჯეტი. მხოლოდ 2 აპრილის დეკრეტის გამოცემის შემდეგ მყარდება საბიუჯეტო დისციპლინა და ანგარიშის წარმოებას მტკიცე საფუძველი ეყრება.

მთელს საქართველოში მხოლოდ ქ. თბილისის აღმასკომმა არ შეუწყვეტია ადგილობრივ გადასახადების აკრება არც ერთის წუთს და სწორეთ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მან ყველაზედ ადრე საქართველოს საბჭოების ყრილობაზედ, 1922 წლის 25 თებერვალს, ზეპირად განაცხადა, რომ მას შეუძლია ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილება, სახელმწიფო ხაზინის დაუხმარებლად. ეს იყო პირველი მერცხალი საღი ფინანსიური პოლიტიკისა ადგილობრივ მეურნეობაში, ეს იყო თავი საღი ადგილობრივი მეურნეობა.

გ. ხ-ძე.

სტუდენტების აკადემიური გაწმენდა

(ჩვენი მოსკოვის კორესპონდენტისაგან)

მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში ამ ჟამათ მიმდინარეობს სტუდენტების რიგების აკადემიური წმენდა. ეს გამოწვეულია მით, რომ უკანასკნელ წლებში უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვი არანორმალურათ გაიზარდა ომამდე არსებულ რიცხვთან შედარებით. ამასთანავე პროფესორების და მეცნიერულ ძალების რიცხვი არ შეეფერება სტუდენტების რიცხვს. მატერიალური უსახსრობაც საშუალებას არ იძლევა ჯეროვნათ უმაღლეს სასწავლებლების დამაკმაყოფილებლათ შენახვისათვის.

— უნივერსიტეტებთან არსებული ლაბორატორიები და სხვა დამხმარე სამეცნიერო დაწესებულებანი ვერ ყოფნიდენ ყველა სტუდენტებს. ყველაფერი ეს ხელს უშლიდა უმაღლეს სასწავლებლების აკადემიური ცხოვრების ნორმალურ მსვლელობას და ქმნიდა სტუდენტების საგრძნობელ რიცხვის ბალასტით, რომელნიც არაფერს არ აკეთებდენ და დიდი ხნობით რჩებოდენ უმაღლეს სასწავლებლის კედლებში.

როგორც გამოირკვა, არც სახალხო მეურნეობა ახლო მომავალში არ საჭიროებს სპეცების ასეთ რიცხვს, რომელსაც აძლევენ ახლა უმაღლეს სასწავლებლები.

ამიტომ დაისვა საკითხი უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვის შემოკლების შესახებ. მომავალ სასწავლო წლიდან მიღებული იქნება უმაღლეს სასწავლებლებში იმ რიცხვის ნახევარი, რომელიც მიღებული იყო გასულ 23/24 სასწავლო წლის დასაწყისში. თვით მიღება მოხდება წინანდებურ კლასიურ თვალსაზრისით (პროლეტარულ ელემენტების).

მსმენელთა რიცხვის შემოკლების გარდა, დასახულია აგრეთვე არსებულ რიცხვის შემოკლებაც. ამ მიზნით მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში უკვე დაიწყო ეგრეთ წოდებული აკადემიური წმენდა. ყველა უმაღლეს სასწავლებლებში დანიშნული არიან გამწმენდი კომისიები, რომელნიც ახლავე სწავლობენ სტუდენტობის პირადულ შემადგენლობას და მათ მეცადინეობის შედეგებს.

კომისიების მუშაობა ჯერ არ დათავებულა. 28 მაისამდე წმენდა გაიარა მოსკოვის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში 10 ათასმა სტუდენტმა. ამ რიცხვში გამორიცხული იქნა 2 ათასამდე, რაც შეადგენს 20 პროცენტს. ცალკე-ცალკე სასწავლებლებში ზოგან გამორიცხულთა რიცხვი აღწევს 30—35 პროცენტს. გამორიცხვის მიზეზები უმთავრესათ არიან: სუსტი მეცადინეობა, განუვითარებლობა (განვითარებით არ შეეფერება უმაღლეს სასწავლებელს), საბჭოთა წესწყობილებისათვის უცხო ელემენტი და სხვა.

გაწმენდასთან ერთად კომისიას გამოაქვს დადგენილება ამა თუ იმ სტუდენტის სხვა სპეციალობაზე გადაყვანის შესახებ. მათ, ვისაც რიცხავენ უმაღლეს სასწავლებლიდან განუვითარებლობისათვის, უფლება აქვთ, რუსეთის განათლების კომისარიატის დადგენილების ძალით, შევიდნენ საშუალო პროფ.-ტეხნიკურ სასწავლებლებში ან დაიჭირონ იქ ეგზამენები ექსტერნათ.

უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტების რიცხვის შემოკლება, რომელიც ახლა სწარმოებს მოსკოვში და სხვა ქალაქებში, გამოდევნის უმაღლეს სასწავლებლის გარდაქმნას, რომელიც ახლა დასახულია ჩასატარებლათ მომავალ სასწავლო წლიდან. ამ საკითხს მიექცა ყურადღება კომუნ. პარტიის მე-13 ყრილობაზედაც, რომელმაც დაავალა ცენ. კომიტეტს მიიღოს ზომები მის მოსაგვარებლათ.

ლან—ძე.

მოსკოვი, 30 მაისი.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

ჩინეთთან შეთანხმების შემდეგ

ჩინეთში იზრდება საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი

ჩვენს საელჩოს ეთმობა მეორე ბინა

ჩინეთის პროფესორებმა და სტუდენტებმა მიულოცეს ამხ. კარახანს

პარლამენტის 131 წევრის მილოცვა

პეკინი. 5 ივნისი. კარახანმა მიიღო მილოცვის დეპეშა პარლამენტის წევრის ხოუ ხუნმაგან, რომელიც სთხოვს მას გადასცეს საბჭოთა მთავრობას, რომ პარლამენტის 131 წევრი სიხარულს გამოსთქვამს შეთანხმების მიღწევის გამო. ჩინეთის ხალხის სახელით, დეპეშაზე ხელის მომწერნი იმედს გამოსთქვამენ, რომ ორივე მთავრობა და ორივე ხალხი დღეიდან ერთგულად დაიცავენ თავიანთ ძირითად პრინციპებს და ხელიხელ ჩაკიდებით ივლიან და აძლევენ საერთაშორისო დიპლომატიას დაიწყოს ახალი ხანა და ანგარიში გაუწიოს იმ ძირითად ცვლილებებს, რომლებიც მოხდა მთელს მსოფლიოში.

არაჩვეულებრივი ინტერესი.

პეკინი, 3 ივნისი. ხელისმოწერა ჩინეთის და საბჭოთა კავშირის შეთანხმებაზე არაჩვეულებრივ ინტერესს იწვევს ჩინეთის საზოგადოების ყველა წრეებში. მთელი რიგი საზოგადო მოღვაწეებისა, პროფესორები, სტუდენტები და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები ეწვევიან საბჭოთა კავშირის მისიას და გადასცეს კარახანს მილოცვა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ უბრძანა პოლიციას დააყენოს საპატიო მცველი მისიის შენობასთან. პოლიციამ დაიწყო მეთვალყურეობა ყველა თეთრგვარდიელებზე.

მიღებულია ზომები იმისათვის, რომ გადასცეს საბჭოთა კავშირს მეორე შენობა საელჩოსათვის.

ნაციონალისტების ორგანო „ცზინბაო“ სწერს, რომ ყველა სახელმწიფოები უკმაყოფილო არიან მით, რომ სასწრაფოდ დამთავრდა მოლაპარაკება, რასაც მოულოდნელად მოჰყვა შეთანხმება. იაპონიის გაზეთი „შუნ-დენ-ლი-ბაო“ აღნიშნავს, რომ ახალი შეთანხმება თითქმის ისეთივეა, როგორიც იყო კარახანის და ველინგტონის მიერ შემუშავებული შეთანხმება. მასში არ არის არავითარი ახალი პრინციპი.

ლონდონის კონფერენცია

კონსერვატორული პრესის პროვოკაცია

[illegible] კონფერენციის მუშაობას

ლიბერალები ილაშქრებენ რუსი კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ

[illegible]

ლონდონი. 3 ივნისი. „მორნინგ პოსტი“-ი (ყველაზე უფრო რეაქციონური გაზეთი ინგლისში) მოწინავე წერილში დასცინის მაკდონალდს, რომელმაც იცნო საბჭოთა მთავრობა ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე და მიიღო საბჭოთა დელეგაცია მანამდე, სანამ მას უფლებებს გაეცნობოდა. „მან ვერ მოასწრო, ამბობს გაზეთი,—რომ ბოლშევიკებს სურთ არა შეთანხმება, არამედ ფული“.

„დეილი ტელეგრაფი“ ი (ზომიერ-კონსერვატიული გაზეთი) ამბობს, რომ რაკოვსკის გაფრთხილება კონფერენციის უშედეგოდ დამთავრების შესაძლებლობის შესახებ წარმოადგენს შანტაჟისტურ ოინებს მაკდონალდისადმი. ადარებს რა საბჭოთა კავშირს ოსმალეთს, გაზეთი აღნიშნავს, რომ სანამ საბჭოთა მთავრობა არ გამოყოფს ვალების გადასახდელათ სახელმწიფოს სპეციალურ შემოსავალს, რომლის მართვა გამგეობა დაევალება უცხოეთის კომისიას, კონფერენცია უშედეგოთ დარჩება.

კონფერენციის ჩაშლა არ არის ხელსაყრელი ინგლისისათვის.

„დეილი ნიუს“-ი (დამოუკიდებელ ლიბერალების ოფიციალური ორგანო) მოწინავე წერილში სწერს, რომ თუ კონფერენცია ჩაიშალა, [illegible] მოიცავს არა მარტო საბჭოთა კავშირს: ფუჩიან ქაღალდების მეპატრონეები საბოლოოდ დაჰკარგავენ გადახდის იმედს, ანტი-ინგლისური პროპაგანდა გაძლიერდება და საბჭოთა ბაზრები დაიხურება ინგლისისათვის.

„დეილი ნიუს“-ი ლაპარაკობს, რომ საბჭოთა კავშირის წესწყობილებაში უნდა მოხდეს ზოგიერთი ცვლილებები; მაგრამ ეს უნდა იყოს შედეგი მხოლოდ ქვეყნის საზოგადოებრივ აზრში მომხდარი ბუნებრივი ევოლიუციის და არა უცხოეთის ოქროთი კონტრ-რევოლიუციის მოხდენის ცდის ან უცხოეთის გაზეთების აღნიშნული მოწინავე წერილებისა, რომელთაც ტონს აძლევენ რუსი ლტოლვილები.

პლენარული სხდომის გადადება.

ლონდონი. 3 ივნისი ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ ინგლისის და საბჭოთა კავშირის კონფერენციის საორგანიზაციო კომისიის სხდომაზე, რომელიც შესდგა 2 ივნისს, გადაწყდა გადადებულ იქნეს კონფერენციის პლენარული სხდომა, რომელიც დანიშნული იყო 4 ივნისისათვის, რათა დრო მიეცეს საბჭოთა დელეგაციას იმ საკითხების გამოსარკვევად, რომლებიც გარჩეული უნდა იქნენ ამ ჟამად.

გერმანიის პოლიციის საპასუხოდ

გერმანიის პრესის ცნობების გაბათილება.

ბერლინი. 3 ივნისი. ბერლინის გაზეთების ცნობებით, საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობამ ბერლინში გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომელშიაც უარყოფილია გერმანიის პრესის განცხადება იმის შესახებ, თითქოს, სავაჭრო წარმომადგენლობაში ჩხრეკის დროს აღმოჩენილი იქნა ხაზინის გამტეხი მასალები. ცნობაში ხაზგასმულია ის, რომ ყველა ეს ცნობები განზრახ არის შეთხზული.

ყვითელ პროფკავშირთა კონგრესი

ინგლისის დელეგაცია დაჟინებით მოითხოვს პროფინტერნთან მოლაპარაკების განახლებას.

ინგლისის დელეგაცია მოითხოვს მაღაროების ნაციონალიზაციას.

მემარცხენე ფრთა კონგრესზე წარმოადგენს საგრძნობ ძალას.

საბჭოთა პროფკავშირებთან დამოკიდებულების შესახებ.

ვენა. 3 ივნისი. პროფკავშირთა ამსტერდამის საერთაშორისო გაერთიანების კონგრესის მეორე სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საბჭოთა პროფკავშირებთან მოლაპარაკების საკითხის შესახებ.

ნიუგარდმა (დანია) გაილაშქრა ინგლისის დელეგაციის წინადადების წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს მოლაპარაკების განახლებას.

ტერნერმა (ინგლისი) განაცხადა, რომ ინგლისის დელეგაცია მოითხოვს მოლაპარაკების განახლებას და არ მისცემს ხმას ბიუროს ანგარიშს, თუ ინგლისის წინადადება უარყოფილი იქნა.

ჟუომ (საფრანგეთი) ილაპარაკა ინგლისის წინადადების წინააღმდეგ; წინადადება შემდეგ გადაეცა კომისიას. ინგლისის წინადადებამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა კონგრესის წევრებზე.

[illegible] თავისუფალი აზრის.

კონგრესი გადადის საკითხზე ამსტერდამის ინტერნაციონალის წესდების შეცვლის შესახებ. მომხსენებელმა უდეგესმა, რომელიც შეეხო საკითხს საბჭოთა პროფკავშირების დამოკიდებულების შესახებ, აღნიშნა, რომ ცალცალკე პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანებებს ყველა სამრეწველოებმა თავისი პოლიტიკა უნდა შეუფარდონ ინტერნაციონალის პრეზიდიუმის საერთო ხაზს; ზოგიერთი საბჭოთა პროფკავშირები გამონაკლისის სახით შეიძლება დაშვებულ იქნენ ცალკე სამრეწველოებში, მაგრამ ამით პროფკავშირების მთლიანობა არ უნდა დაირღვეს.

დღის წესრიგის ყველა მნიშვნელოვანი საკითხები გადაცემული იქნა განსახილველათ კომისიებში; ეს გამოწვეული იყო, ალბათ, იმით, რომ თავიდან აეცილებინათ აშკარა დისკუსია.

მუშათა ერთიან ფრონტის წინააღმდეგ.

მოხსენებაში ინტერნაციონალის ბიუროს და ცალკე სამრეწველოების კავშირის შესახებ აღნიშნულია, რომ პრინციპიალურათ ცალკე პროფკავშირებს საერთაშორისო გაერთიანებების სამრეწველოები შეიძლება შევიდნენ იმ ორგანიზაციაში, რომელიც ეხმარება ცენტრალური ორგანიზაციას და რომელიც თავისი მხრით შედის ამსტერდამის ინტერნაციონალში

შემდეგ, მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საორგანიზაციო კავშირის გაძლიერება ინტერნაციონალის ბიუროსა და სამრეწველოებს შორის ნაკარნახევია აუცილებლობით გადაწყვეტილი იქნეს ბრძოლა პროფინტერნის წინააღმდეგ, რომელიც სცდილობს ამსტერდამის ინტერნაციონალის განადგურებას.

მოხსენებაში უარყოფილია ერთიანი ფრონტის შესახებ პროფინტერნთან. ფიმმენი, კუკი და სმიტი 16 ქვეყნის უმრავლესობით ინგლისისა, ბელგიისა, საფრანგეთისა და ჰოლანდიის წინააღმდეგ დაშვებული არიან ამსტერდამის ინტერნაციონალის გენერალურ საბჭოში სათათბირო ხმით, როგორც სამრეწველოების მუდმივი წარმომადგენლები. ინგლისელებმა არ მისცეს ამას ხმა, რადგან ისინი მოითხოვდენ მათთვის გადამწყვეტი ხმის უფლების მინიჭებას.

დიდი ხნით გადადება.

ამსტერდამის ინტერნაციონალის მომავალი მუშაობის შესახებ გაკეთებულ მოხსენების გამო ბრომლეიმ (ინგლისი) განაცხადა, რომ ეს პროგრამა მეტად ვიწროა, ის არ სცილდება ჟენევის შრომის ბიუროს ფარგლებს და ის მისაღებია მხოლოდ ინგლისის ლიბერალური ბურჟუაზიისათვის. ინგლისის მუშათა ფართო მასები საკითხს უფრო ფართოთ აყენებენ.

უდეგესმა განაცხადა, რომ ინგლისის დელეგაცია უარყოფს ამ პროგრამას და მოითხოვს რკინისგზების, ნახშირის წარმოებების და სხვა მსხვილ სამრეწველოთა ნაციონალიზაციას. ამ საკითხის შესახებ ინგლისის დელეგაციას შემოაქვს ამომწურავი წინადადება, რომელიც კონგრესის მიერ გადაცემულია კომისიაში. კომისიაში აგრეთვე გადაცემული საკითხები ამსტერდამის ინტერნაციონალის პოზიციის შესახებ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის და ომისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში.

იმ მოხსენების გამო, რომელიც წაკითხული იყო 8 საათის სამუშაო დღის შესახებ, იტალიის დელეგაციამ შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც საფაბრიკო საქარხნო კომიტეტებს განიხილავს, როგორც წარმოებების საკონტროლო ორგანოებს; ამ რეზოლიუციის თანახმად საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ წარმოებების მართვა - გამგეობის საქმეში. რეზოლიუცია გადაეცა კომისიას.

მემარცხენე ფრთა

ვენა, 3 ივნისი. ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესთან ერთად ვენაში შესდგა პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანებების სამრეწველოების კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ამსტერდამის ინტერნაციონალის პრეზიდიუმმაც.

კონფერენციაზე გამოირკვა, რომ მთელი რიგი სამრეწველოები მომხრე არიან საბჭოთა პროფკავშირებთან თანამშრომლობის. ამსტერდამის ინტერნაციონალის პრეზიდიუმი შეეცადა ამ საკითხში გაეტარებინა თავისი თვალსაზრისი, მაგრამ მას ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს ტრანსპორტელთა და [illegible] კავშირების წარმომადგენლებმა. მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც ამბობს, რომ „ამსტერდამის გაერთიანება არის პროფკავშირთა ერთადერთი ინტერნაციონალი“.

საერთაშორისო გაერთიანებებში ახალი წევრების დაშვების საკითხში მიღებული იქნა კონგრესის მიერ შემუშავებული დებულება.

იმ შემთხვევაში, თუ სამრეწველო მოისურვებს ამ წესების შეცვლას, ის წინასწარ უნდა შეუთანხმდეს ამსტერდამის ინტერნაციონალის პრეზიდიუმს.

კონფერენციამ დელეგატებით ამსტერდამის ინტერნაციონალის პრეზიდიუმში გაგზავნა ფიმმენი, სმიტი და კუკი, რაც დამადასტურებელია იმის, რომ მემარცხენე ფრთა იზრდება.

სოფლად მუშაობისათვის

ამხ. რიკოვის განცხადება

მოსკოვი. 5 ივნისი. ამხ. რიკოვმა, რომელიც გამოვიდა ფინანსიური დარგის მუშაკთა რაიონულ კრებაზე, აღნიშნა ადგილობრივ ბიუჯეტის საკითხის შესახებ, რომ აუცილებელია ადგილებზე ისეთი საბჭოთა აპარატის მოწყობა, რომელსაც გლეხობა და მთელი მოსახლეობა უნდა სთვლიდეს მის წარმომადგენლად, რომელიც ისახავს თავის ამოცანად ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამიტომ აუცილებლად უნდა შეიქმნეს ადგილობრივი ბიუჯეტი და პირველ ყოვლისა სათემო (ВОЛОСТНОЙ) ბიუჯეტი, რომლის უქონლობა წარმოადგენს ერთ-ერთ მიზეზს იმისა, რომ წინააღმდეგობას აქვს ადგილი ერთის მხრით პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დირექტივების და მეორე მხრით ადგილობრივ ორგანიზაციების მოქმედებას შორის:

სავალდებულო რეფორმისათვის საჭიროა ხარჯთა მაქსიმალური შემცირებისათვის და, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის მთელი ეკონომიური ცხოვრების გაჯანსაღების მიზნით საჭიროა ადგილებზე სასტიკათ იქნეს გადასინჯული ყველა სახის ხარჯები, შემცირებულ იქნეს ხარჯები ყველგან სადაც ეს შესაძლებელია და მაქსიმალურათ გაძლიერდეს შემოსავლის ის წყაროები, რომელთაც არ აქვთ გადასახადის ხასიათი.

დამოკიდებულება გლეხობასთან უდიდესი მნიშვნელოვანი მომენტია საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტურ პარტიის პოლიტიკაში. რადგან საგადასახადო და საფინანსო საქმე წარმოადგენს გლეხობასთან შემაერთებელ სფეროს.

საჭიროა, რომ ამ აპარატმა იმუშაოს განუწყვეტლივ, სწრაფად და თავისი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით.

პუანკარეს წასვლის შემდეგ

სოციალისტები წინააღმდეგი არიან რურის დაცლის

სოციალისტური პარტია მოითხოვს ხალხთა კავშირის [illegible]

შესაძლებელია პენლევე არ დარჩეს პარლამენტის თავმჯდომარეთ

კაპიტალისტების სასარგებლოდ სოციალისტური კონგრესის რეზოლუცია.

პარიზი, 3 ივნისი. სოციალისტების კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვს: 1) [illegible] მთავრობის მხარის დაჭერა, 2) მომავალი მთავრობის პროგრამაში რურის შესახებ [illegible], 3) შემოსავალზე [illegible] მთავრობის [illegible], 4) 8 საათის სამუშაო დღის [illegible], 5) საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენა და ექსპერტების მოხსენების მიღება.

რურის შესახებ რეზოლუცია აცხადებს, რომ პარტია [illegible] რურის [illegible] მანამდე, ვიდრე ის პარტიების მიერ [illegible] წინადადება [illegible] საერთაშორისო ორგანოებს. რეზოლუცია აღნიშნავს აგრეთვე, რომ მშვიდობიანობის უზრუნველყოფა [illegible] კონტროლის [illegible] ერთა ლიგის და [illegible] ზედამხედველობით.

მ ხანდელი [illegible] წრეებში აცხადებენ, რომ პროგრამა არავითარ რევოლუციონურს არ შეიცავს.

ფინანსიურ წრეებში კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ პროგრამა არ [illegible] „ტანკ" [illegible] სოციალისტებს, მოსაწონი არა [illegible] ხმას კარტელისათვის.

[illegible]

პარიზი. 4 ივნისი. სოციალისტების [illegible] კარტელის მთავარ პოლიტიკური თვის წარმომადგენლებს. [illegible] პრესის საშუალებით [illegible], რომ ის [illegible] შემოსვლის [illegible] გამოცხადება მას.

პარიზის [illegible] პოლიტიკური წრეებში ფიქრობენ, რომ მილერანი გადადგება მხოლოდ ორი დღის განმავლობაში, და რომ ამ კვირის დასასრულს მას შესცვლის პენლევე.

კანდიდატი პალატის თავმჯდომარის თანამდებობაზე

პარიზი. 4 ივნისი. რესპუბლიკანელ-დემოკრატების ფრაქციამ დაადგინა პალატის თავმჯდომარის თანამდებობაზე წამოეყენებინა [illegible] კანდიდატურა. პალატის უფლება თავმჯდომარე [illegible] რომ [illegible] დელეგაცია [illegible] თავისი კანდიდატის წამოყენებაზე.

გერმანიის „ახალი" მთავრობა

მთავრობის შედგენა მიენდო ისევ მარქსს.

პრეზიდენტმა „ახალ" მთავრობაში დაამტკიცა ძველი მთავრობის მთელი შემადგენლობა.

გაძლიერდა კომუნისტების დევნა.

ბერლინი. 5 ივნისი. გუშინ მარქსის მოლაპარაკება მემარჯვენე ჯგუფებთან კოალიციის შესახებ უშედეგოთ დამთავრდა, მარქსი დაუბრუნდა [illegible] ძველი შემადგენლობის. მარქსმა [illegible] წარუდგინა პრეზიდენტს თავისი ძველი კაბინეტის წევრთა სია. დღეს კაბინეტი წარუდგება რეიხსტაგს.

რომი 5 ივნისი. პრეზიდენტმა [illegible] დაამტკიცა მარქსის შედგენილი კაბინეტი.

„სოციალისტები" და ახალი [illegible]

პარიზი 5 ივნისი. ბერლინიდან მიღებული ცნობებით, რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია [illegible], რომ [illegible] მხარი დაუჭიროს მარქსის მთავრობას. იმავე ცნობებით, მარქსის მთავრობისათვის უზრუნველყოფილია უმრავლესობა რეიხსტაგში.

მარქსის დეკლარაცია.

პარიზი. 5 ივნისი. ბერლინიდან მიღებული ცნობებით, დღეს [illegible] მარქსის [illegible] სხდომა, რომელზედაც მიღებული იქნება „ახალი" მთავრობის დეკლარაციის საბოლოო ტექსტი.

კომუნისტების გაძლიერებული დევნა.

ბერლინი. 3 ივნისი. შტუტგარტში, [illegible] და ბრესლავლში [illegible] კომუნისტების [illegible]. [illegible] კომუნისტების [illegible] პოლიცია [illegible], რომ კომუნისტების [illegible] მოწყობისა.

[illegible] კაპიტულაცია.

ბერლინი. 3 ივნისი. მთავრობის კრიზისი დამთავრდა [illegible] მთავრობის დაბრუნებით [illegible].

ოსმალეთი და ინგლისი

მაკდონალდის პოლიტიკა არაფრით განირჩევა კერზონის პოლიტიკისაგან

ოსმალეთის მთავრობა გარიყული დარჩა

მოსულის კონფერენცია საბოლოოთ ჩაიშალა

ინგლისის დელეგაციის განცხადება.

სტამბოლი, 4 ივნისი. ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ [illegible] ინგლისისა და ოსმალეთის [illegible] მოსულში [illegible] არ აქვს [illegible] ინგლისის დელეგაციამ განაცხადა, რომ საკითხი [illegible] ერთა ლიგას [illegible] ანგორის მთავრობის.

ოსმალეთის დელეგაცია ანგორაში წავიდა.

სტამბოლი 4 ივნისი. ოსმალეთის პრესის ცნობით, ანგორის წრეებში მოსულის კონფერენციის ჩაშლას გაკვირვება არ გამოუწვევია, რადგან [illegible]. ოსმალეთის მთავრობამ [illegible], რომ [illegible] ოსმალეთის [illegible] მიზნით. ანგორაში ფიქრობენ, რომ მაკდონალდის პოლიტიკა არაფრით არ განირჩევა კერზონის პოლიტიკისაგან.

პრესის აზრი.

სტამბოლი, 4 ივნისი. ოსმალეთის პრესა [illegible] არჩევს კონფერენციის ჩაშლის მიზეზებს.

„ილდრუმ" და „მილლიეთ", სასტიკად აკრიტიკებენ ანგორის მთავრობას, რომელმაც ხელი არ შეუწყო ოსმალეთის [illegible].

გაზეთები „ვაკიტ", „იკდამ" და „ტანინ" კონფერენციის ჩაშლას უკავშირებენ იტალიის ჯარების კონცენტრაციას კუნძულ როდოსზე.

გაზეთები ამტკიცებენ, რომ ომი შეუძლებელია.

მთავრობის წინააღმდეგ [illegible]

სტამბოლი 4 ივნისი. ოსმალეთის [illegible] მთავრობის.

„მილლიეთი" მოელის ომს და აცხადებს: „[illegible] არ არის ოსმალეთი, [illegible] შესახებ, ვინაიდან მას [illegible], როგორც [illegible]. ახლა ოსმალეთს [illegible] არა აქვს კარგი დამოკიდებულება".

ოსმალეთ-იტალიის კონფლიქტი

ინგლისი აქეზებს ოსმალეთს.

სტამბოლი, 4 ივნისი. ანგორის მთავრობის [illegible] სხდომაზე [illegible] მუსოლინის [illegible] კუნძულ როდოსზე იტალიის ჯარების კონცენტრაციის შესახებ. კრებაზე მიღებული იქნა დადგენილებები მთელი რიგი მნიშვნელოვანი ზომების შესახებ.

არჩევენ რა მუსოლინის პასუხს, ანგორის ოფიციალური წრეები აცხადებენ, რომ [illegible] პასუხი იქნებოდა [illegible] ამ შემთხვევაში, რომ იტალიის ჯარების [illegible] კუნძულ როდოსზე ჰქონდეს [illegible] მიზნები ოსმალეთის წინააღმდეგ. საერთოდ, იტალიის პასუხს ფორმალურად დამაკმაყოფილებლათ სთვლიან.

ომის [illegible]

ანგორა 4 ივნისი. იტალიის ჯარების კონცენტრაციის გამო კუნძულ როდოსზე, ოსმალეთის პრესა ათავსებს [illegible] წერილებს. ოფიციალური წრეების [illegible], რომ [illegible] შეუძლებელია რომ იტალია თავს დაესხას ოსმალეთს, ცოტათი დამშვიდდა [illegible] საზოგადოებრივი აზრი.

იუსტიციის კომისარმა [illegible], რომელიც სტამბოლიდან ჩამოვიდა, [illegible], რომ ომის საფრთხე [illegible], [illegible] განაცხადა, რომ თუ ომი დაიწყო, დაუყონებლივ იქნება მოწვეული დიდი ეროვნული კრება. [illegible] მცხოვრებლებმა [illegible] გაუგზავნეს ოსმალეთის [illegible] კრების პრეზიდიუმს. მცხოვრებლები მოითხოვენ ეროვნული კრების მოწვევას. [illegible] მდგომარეობა საშიში ხდება.

იტალიამ დააკავა ოსმალეთის 25 ჰიდროპლანი.

ანგორა. 4 ივნისი. იტალიის მთავრობამ შეაჩერა 25 სამხედრო ჰიდროპლანის გაგზავნა ოსმალეთში, [illegible] ოსმალეთის მთავრობის დაკვეთით [illegible] იტალიის ფირმებმა.

გაზ. „ვაკიტ" [illegible]

ანგორა. 4 ივნისი. გაზ. „ვაკიტ" სწერს: „[illegible] იმისა, რომ იტალიის მეფე ესტუმრა ინგლისს და იქ მას მეგობრულად შეხვდნენ, დამოკიდებულება ინგლისსა და იტალიას შორის [illegible] არის მაინცდამაინც მეგობრული. ამის დამამტკიცებელია ის, რომ მაკდონალდმა უარი სთქვა მუსოლინისთან შეხვედრაზე. გარდა ამისა, იტალიასა და საფრანგეთს შორის განხეთქილებას აქვს ადგილი კუნძულ დოდეკანეზის გამო, ამან კი თავის მხრივ გამოიწვია კონფლიქტი იტალიასა და ინგლისს შორის. ამიტომ იტალიის მიერ ოსმალეთისათვის ომის გამოცხადება [illegible] პირობებში, შეუძლებელი იქნებოდა".

მიუხედავად „ვაკიტის" დამამშვიდებელი წერილებისა, მცხოვრებლები ომს მოელიან.

იტალიის კომპარტიის კონფერენცია

რომი. 4 ივნისი. იტალიის კომპარტიის კონფერენციაზე ირჩევდა პარტიის საერთო პოლიტიკის საკითხი. კონფერენციაზე, ცეკას წევრების გარდა, მონაწილეობას იღებდნენ 45 პროვინციალური ორგანიზაციების მდივნები.

[illegible] დამოკიდებულების საკითხის შესახებ უთანხმოებას ადგილი არ ჰქონია. ერთიანი ფრონტის, მუშათა და გლეხთა მთავრობის ლოზუნგის და იტალიის სოციალისტურ პარტიასთან დამოკიდებულების საკითხების შესახებ თავი იჩინა სამმა მიმართულებამ: ცეკას უმრავლესობის ხაზს მიემხრო 8, ცეკას უმცირესობის ხაზს—10, მემარცხენეების ხაზს ბორდიგას მეთაურობით—42.

ბორდიგამ გაილაშქრა ერთიანი ფრონტის ტაქტიკის წინააღმდეგ და დაასაბუთა ის მით, რომ მაქსიმალისტ რეფორმისტები მუდამ წინააღმდეგნი იქნებიან კომუნისტების წინადადებას შეერთებულათ გამოსვლის შესახებ, რაც არა ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს კომპარტიას. ბორდიგამ განსაკუთრებით გაილაშქრა იტალიის სოციალისტურ პარტიასთან შეერთების წინააღმდეგ.

აჯანყება ალბანეთში

აჯანყებულები იმარჯვებენ

ბერლინი. 5 ივნისი. ალბანეთის მეამბოხეებმა დაამარცხეს მთავრობის ჯარები და აიღეს ქ. ტირანა, ალბანეთის სატახტო ქალაქი. ბელგრადიდან მიღებული ცნობებით, აჯანყებულები [illegible]. [illegible] აჯანყებულების მიერ [illegible] ალბანეთის მთავრობის ჯარების მდგომარეობა კრიტიკულია. აჯანყებულები [illegible] მთავრობას დაუყონებლივ გადადგომას.

ბერლინი. 5 ივნისი. რომის გაზეთების ცნობით, აჯანყებულებმა დაიკავეს [illegible].

ალბანეთის პრეზიდენტს თავს დაესხნენ.

ვენა. 4 ივნისი. სხვა და სხვა წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ალბანეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებს. სკუტარში აჯანყებულებმა [illegible] დაამარცხეს [illegible] მთავრობის ჯარებმა [illegible] დაიხიეს. აჯანყება მოედო ვალონას.

მთავრობა ჯარში იწვევს 18 [illegible] ასაკს.

სხვა და სხვა ამბები

● **გაფიცვა ინგლისში.** ლონდონის რკინისგზების მუშა-მოსამსახურეებმა დაადგინეს გაფიცვა გამოაცხადონ.

● **გაფიცვა [illegible].** [illegible] მიღებული ცნობებით იქ გაფიცულნი არიან რკინისგზების ყველა მუშა-მოსამსახურეები.

● **[illegible] ესპანეთში.** [illegible] ტერორი ესპანეთში ძლიერდება. [illegible] ბარსელონაში დააპატიმრეს 60 მუშა. კომუნისტური გაზეთის რედაქტორი გადაასახლეს.

● **შიმშილობის გამოცხადება.** რუმინეთის მთავრობის განკარგულებით დაპატიმრებულმა 24 მუშამ, რომლებიც სამხედრო ციხეში არიან მოთავსებული, შიმშილობა გამოაცხადა.

● **79 [illegible] საქმე.** ბულგარეთში დაიწყო წარსულ წელში აჯანყების [illegible] გასამართლება. პასუხისგებაში მიცემული არის აგრეთვე ამხ. კოლაროვი, კომინტერნის აღმასკომის მდივანი.

● **ოსმალეთი და საფრანგეთი.** საფრანგეთმა მეგობრული პასუხი გასცა ოსმალეთს სირიის საზღვარზე მომხდარი ამბების გამო. საფრანგეთი პირდება ოსმალეთს ინციდენტის გამორკვევას. ანგორის წრეებში საფრანგეთის პასუხს არადამაკმაყოფილებლათ თვლიან.

● **ანატოლიის რკინისგზების გამოსყიდვა.** საფრანგეთის ფინანსისტებმა წინადადება მისცეს ოსმალეთის მთავრობას გამოისყიდოს ანატოლიის რკინისგზა 15 მილიარდ ფრანკად.

● **საარჩევნო უფლებები ქალებს.** ინგლისის საპარლამენტო კომისია მხარს უჭერს ქალებისათვის საარჩევნო უფლებების მინიჭებას.

● **გაფიცვა გამოფენაზე.** შაბათს დაიწყება მუშების გაფიცვა ინგლისის საიმპერიო გამოფენაზე.

● **მთავრობის კრიზისი რუმინეთში.** გენერალ ავერესკუს მოლაპარაკების თანახმად, მეფემ გადააყენა პრემიერი ბრატიანუ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მარიუპოლის ნავსადგურში.

მარიუპოლი, 5 ივნისი. ახლო მომავალში დამთავრდება ნავსადგურის შესაკეთებლად დაწყებული მუშაობა, რის შემდეგაც დაიწყება ნახშირის გატანა. ნავსადგურში თავმოყრილია მილიონ ფუთზე მეტი ანტრაციტი, რომელიც გატანილი უნდა იქნეს საზღვარგარეთ.

ცეცხლი ბახმუტის ლითონის დამამუშავებელ ქარხანაში.

ბახმუტი. 5 ივნისი. სტალინის სახელობის ლითონის დამამუშავებელ ქარხანაში გაჩნდა ცეცხლი. ცეცხლის [illegible] რაზმის და მუშების 8 საათის განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ ცეცხლი ჩაქრობილი იქნა. ცეცხლისაგან გადარჩა ბენზინის საწყობი, სადაც 5.000 ფუთი ბენზინი იყო შენახული.

წვიმები.

მოსკოვი. 5 ივნისი მიღებული ცნობების თანახმად, კიევის და ნიკოლაევის რაიონებში მოვიდა წვიმა. შესაძლებელია ნათესების გაუმჯობესება.

ხერსონის რაიონში გვალვის გამო ნათესები გაყვითლდა და ჩამოხმა.

უკრაინა

საგარეო ვაჭრობა.

ხარკოვი 5 ივნისი. უკრაინის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი მოლაპარაკებას აწარმოებს ოსმალეთის ფირმასთან 3 მილ. ფუთი ანტრაციტის მიწოდების შესახებ. იტალიიდან მიღებულია შეკვეთა 2 მილ. ფუთი ანტრაციტზე.

აქ [illegible] არ [illegible].

ხარკოვი, 5 ივნ. გამწმენდმა კომისიამ ხარკოვის მუშათა ტეხნიკუმიდან დაითხოვა 20 სტუდენტი, რომლებიც არ შეეფერებოდნენ ტეხნიკუმის სოციალურ შემადგენლობას.

უმუშევრები ყირიმის კურორტებზე

სიმფეროპოლი, 5 ივნისი. ყირიმის კურორტებს [illegible] უმუშევრები [illegible], რომლებიც აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებიან. შრომის ბირჟა უარს ეუბნება მათ რეგისტრაციაზე.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარისტანი

მანუფაქტურა გლეხებისათვის.

ბათომი 3 ივნისი. გლეხთა [illegible] გაუგზავნა სახალხო [illegible] გლეხობისათვის დასარიგებლად. 10 000 მანეთის მანუფაქტურა.

მარგანეცის ექსპორტი.

ბათომი. 3 ივნისი. ფოთის ნავსადგურში დგას 9 უცხოეთის გემი, რომლებიც დატვირთული იქნებიან მარგანეცით. დატვირთვა სწარმოებს საჩქარო წესით,—მუშებს შენაცვლებით [illegible] დღეში და კვირაობით. წლის მარგანეცის ექსპორტი აღემატება მშვიდობიანობის დროის ნორმას.

აზერბეიჯანი

არაჩვეულებრივი ქარიშხალი.

ბაქო 3 ივნისი. ლენქორანში საშინელი ქარიშხალი ამტყდა. ელვამ მოკლა 1 კაცი და 4 კამეჩი. ადგილობრივ ძველ მცხოვრებლებს არ ახსოვთ ასეთი ძლიერი ქარიშხალი.

საბინაო ამხანაგობების რეორგანიზაცია.

ბაქო 3 ივნისი. ბაქოში გაიმართა კამპანია საბინაო ამხანაგობათა რეორგანიზაციისა. ამხანაგობებში არჩეული იქნებიან უმთავრესად მუშები.

ბაქოს საბჭოთა პარტიულ სკოლებში.

ბაქო 3 ივნისი. ბაქოს საბჭოთა პარტიულმა სკოლამ გამოუშვა სწავლა დამთავრებული მოწაფეთა პირველი ჯგუფი. თურქულ ენაზე სკოლა დაამთავრა 17 კაცმა.

პარტიული ცხოვრება

ლენინის ნაწერების შესწავლისათვის

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ყველა უჯრედების საყურადღებოდ

ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ გამოვიდა „ლენინის წიგნთსაცავი". უჯრედებმა უნდა გაიგონ ხელის მოწერის პირობები და გამოჰყონ რწმუნებულები ხელის მოწერის დასატარებლად.

რწმუნებულებმა უნდა მიმართონ ამხ. მარღანიძეს, საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების შენობაში, რუსთაველის პრ. № 22.

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების გამგე ა. [illegible].

სწარმოებს ხელის მოწერა.

ლენინის ბიბლიოთეკაზე ლიტერატურის სპეციალური შერჩევით, რომლის თანახმად ბიბლიოთეკაში შედის ვ. ი. ლენინის ძირითადი და ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი შრომები, რომელნიც შეიცავენ, როგორც მის ძირითად შეხედულებებს, ისე რევოლუციის გზის თარიგების უმთავრეს მომენტებს.

ბიბლიოთეკა შეიცავს შემდეგ წიგნებს:

1) პარტიული მშენებლობის შესახებ 20 წლის განმავლობაში (წერილების და სიტყვების კრებული 1905—1922 წ. პერიოდის).

2) [illegible] ტაქტიკა (წერილების და სიტყვების კრებული 1905—1922 წ. პერიოდის)

3 [illegible] ძირითადი ამოცანები ახ. ეკონ. პოლიტიკის დროს (სიტყვები და წერილები ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ)

4, რჩეული წერილები ეროვნული საკითხის შესახებ (1913—1920 წ.წ. პერიოდისა)

5 პროლეტარიატი და გლეხობა. (წერილები და სიტყვები 1905—1922 წ.წ. პერიოდისა).

6 ბრესტის ზავის შესახებ (წერილები და სიტყვები 1918 წელს).

7 იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი ეტაპი.

8. სახელმწიფო და რევოლუცია.

9. კ. მარქსი.

დამატებით: 1. ნევსკი—ლენინი.

2 ზინოვიევი—ლენინი.

3. პოპოვი და იაკოვლევი—ლენინი და ლენინიზმი.

4 იაროსლავსკი—ცხოვრება და მოღვაწეობა ვ. ი. ლენინის.

5. რ. კ. პ. ისტორია.

ხელის მოწერა მიიღება უჯრედებში და საჰაერო ფლოტის საზოგადოების შენობაში (რუსთაველის პრ № 22) ამხ. მარღანიძესთან.

ბიბლიოთეკის ფასი 10 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება 6 თვეში ნაწილ-ნაწილად. პირველი ნაწილი უნდა შეტანილ იქნეს ბიბლიოთეკის მიღებისთანავე. ბიბლიოთეკები უკვე მიღებულია.

ქ. ფოთი შავი ქვის კომუჯრედი

შავი ქვის წარმოებაში უჯრედი დაარსდა ა. წ. 29 თებერვალს,—წარმოების [illegible]. მანამდის კი სატრანსპორტო კავშირში იყო ერთი უჯრედი, სადაც რამოდენიმე წარმოებაში მომუშავენი ერთდებოდნენ და მუშაობა ძნელი იყო.

ხსენებულ უჯრედმა თავის მუშაობა დაიწყო 1 მარტიდან. აქვს მჭიდრო კავშირი სატრანსპორტო უჯრედებთან ურთიერთი წარმომადგენლობით.

უჯრედი აერთიანებს წევრებს და კანდიდატებს სულ 104 კაცს.

1 მარტიდან 1 ივნისამდე, ე. ი. სამი თვის განმავლობაში ჰქონდა უჯრედს სხდომა 13 ჯერ, გარჩეულია 40 კითხვა. დაარსებულია პოლიტიკური წრე, ყავს კორესპონდენტი. ლექციები იკითხება სისტემატურად. ამ ხნის განმავლობაში მიღებულია უჯრედის მიერ 79 ამხანაგი პარტიაში, ლტოლვა პარტიისაკენ დიდია.

აღსანიშნავია ორი [illegible] განმავლობაში უჯრედს უპარტიო ამხანაგებთან ერთად სხდომა ჰქონდა 6 ჯერ, დაესწრო ამ სხდომებს უპარტიო სულ 1537.

პარტიის წევრებს და კანდიდატებს თითქმის უკლებლივ აქვთ გამოწერილი „კომუნისტი". არ არის მათ შორის წერა კითხვის უცოდინარი. გარდა ამისა უჯრედი [illegible] ერთად მართავს თითქმის ყოველ კვირაში ერთხელ ლექციებს სხვადასხვა თემებზე, წარმოდგენებს და გასამართლებებს, სადაც ჩვენი უჯრედი ღებულობს აქტიურ მონაწილეობას.

უჯრედს ჰყავს მიმაგრებული ამხ. ბ. გოგია. უჯრედი ცდილობს [illegible] ამხ. და პარტ-ორგანიზაციის საშუალებით გამოჰყოს მომხსენებელი თვით უჯრედიდან.

[illegible] ა. [illegible].

ქ. ოზურგეთი

30 მაისს შესდგა ოზურგეთის საქალაქო პარტიული კრება, რომელსაც დაესწრნენ სამხედრო ნაწილის უჯრედის წევრები და კომკავშირელები.

დღის წესრიგში იდგა ინფორმაციული მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის და ამიერ კავკასიის ორგანიზაციების ყრილობათა შესახებ. ვრცელი და ღრმა შინაარსიანი მოხსენება გააკეთა ამხ. თ. დოლიძემ, რომელმაც ცეკას მოხსენებას ანგარიში [illegible] რამოდენიმე ნაწილად და თვითეული ნაწილი ცალცალკე დაახასიათა.

განსაკუთრებული ყურადღება გამოიწვია ამხანაგებში პარტიის მთლიანობის შესახებ ორატორის მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა: მტრების იმედი, რომ პარტიაში დისკუსიის შემდეგ ჩამოყალიბდებოდა უთანხმოება და დაიწყებოდა დაშლა,—არ გამართლდა. პარტია დისკუსიიდან გამოვიდა უფრო მტკიცე, შეურყეველი და ფოლადისებრი; მით უმეტეს მას შემდეგ, როცა ჩვენ [illegible] მუშათა კლასის შვილები, კომპარტიის და კომინტერნის დამაარსებლის—ამხ. ლენინის [illegible] მოხსენება ამხ. ქ. დოლიძის მიერ გადათარგმნილ იქნა რუსულად.

კრება [illegible] 10 საათზე დაიშალა.

მ. კილაძე

სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მუშფაკში

ა/წ. მაისის 28-ს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიურ აუდიტორიაში შესდგა პირველი კრება სახელმწიფო უნივერსიტეტის და მასთან არსებულ მუშფაკის პროფ-ორგანიზაციის წევრ სტუდენტებისა. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1 ამხ. [illegible] ერქომაიშვილის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ;

2 პროფ-ორგანიზაციების მიზნები და ამოცანები, მომხს. ამხ. გ. ნუცუბიძე;

3. სტუდენტთა საბჭოს ანგარიშები წარსული მუშაობის შესახებ, მომხს ამხ. დ. ცხაკაია;

4 [illegible] ბიუროს არჩევნები;

5. საქალაქო კონფერენციაზე დელეგატების არჩევა.

ამხ. ერქომაიშვილმა ვრცლად გაარკვია საბჭოთა კავშირის და ევროპის თანამედროვე მდგომარეობა, აღნიშნა ერთ მხრივ—ევროპის ეკონომიური დაშლა და პოლიტიკური კრიზისი, ხოლო მეორე მხრივ—საბჭოთა ქვეყნების სამეურნეო აღორძინება და პოლიტიკური სიმტკიცე, რის შედეგიც არის ჩვენი ცნობა მთელი რიგ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მიერ.

მოხსენების გამო ერთხმად მიღებულ იქნა სათანადო რეზოლუცია.

ამხ. გრ. ნუცუბიძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ პროფესიონალური ორგანიზაციები არის ერთი მთავარი ბერკეტთაგანი პროლეტარულ სახელმწიფოსი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მუშურ-გლეხური ხელისუფლების განმტკიცებას და რომელსაც პირველად [illegible] ჩვენს უნივერსიტეტში. პროფორგანიზაციის მიზანია ჩვენს უმაღლეს სასწ. სტუდენტობას დაუცვას კულტურული და ნივთიერი ინტერესები ბ) პროლეტარული ხელის შეტანა ჩვენი სასწავლებლების აკადემიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში; გ) აღმოფხვრა უნივერსიტეტის სტუდენტობას შორის ჯერ კიდევ არსებული [illegible] და დ) გადაქცევა უმაღლეს სასწავლებლისა კომუნიზმის მშენებელთა ქარხანათ, რომელთა მეოხებითაც შესაძლებელი გახდება ფიზიკურ და გონებრივ შრომის შორის წინააღმდეგობის მოსპობა:

შემდეგ კრებამ მოისმინა ამხ. დ. ცხაკაიას მოხსენება სტუდენტთა საბჭოს წარსული მუშაობის შესახებ. მოხსენების გამო გამოტანილ რეზოლუციაში კრება საბჭოს მუშაობას [illegible] დამაკმაყოფილებლად, ამასთან მოუწოდებს მომავალში [illegible] ყველა დაბრკოლებანი და გააფართოვოს მუშაობა სტუდენტთა ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

არჩეულ იქნა [illegible] ბიურო [illegible] წევრისა და [illegible] კანდიდატის შემადგენლობით. არჩეულ იქნა აგრეთვე საქალაქო კონფერენციაზე წარმოგზავნილი დელეგატები—71 კაცი 16 კანდიდატი.

შემოსულ წინადადებით კრების სახელით მისალმება გაუგზავნოს რ. კ. პ. მე-13 ყრილობას. სათანადო ტექსტის გამომუშავება მიენდოს პრეზიდიუმს, რომელმაც მიიღო მისალმების ტექსტი:

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მასთან არსებულ მუშ. ფაკის პროფორგანიზაციის წევრ სტუდენტთა გაერთიანებული კრება ესალმება რ. კ. პ. მე-13 ყრილობას, რომელიც არის გამომხატველი საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მასების ძმურ ამხანაგურ კავშირისა და მასთანავე [illegible] მაგალითისა მთელი მსოფლიოს დაჩაგრულ პროლეტარიატისათვის, რათა უკანასკნელმა მედგარი იერიშით დაანგრიოს და ძირ-ფესვიანად აღმოფხვრას დედამიწის ზურგიდან, ისტორიის მიერ განწირული, ძირ გამომპალი ბურჟუაზიული მუქთა-ხორები და დაამყაროს მშრომელთა სოლიდარობა, მათი ძმური ამხანაგური კავშირი. ჩვენი გული [illegible] თქვენ, [illegible] კაპიტალიზმის [illegible].

ჩვენი რევოლუციონური [illegible] პირველ გამოძახილისთანავე თქვენთან ვიქნებით, ამოუდგებით გვერდში ჩვენს თანამოძმე მუშებს და [illegible] კაპიტალიზმის საბოლოოდ დასამარებლად.

გაუმარჯოს რ. კ. პ. მე-13 ყრილობას.

გაუმარჯოს კომინტერნს!

გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლუციას".

გ. შემოქმედელი.

ეკონომიური ცხოვრება

[illegible] კურსი თბილისში

6 ივნისი)

[illegible]—125 მილიონი მან.

ჩერვონეცით

ინგლ. სტერლინგი, ჩეკით	8 მ. 38 კ.
„ [illegible]	— 7 მ. 80 კ.
ამერიკ. დოლარი ჩეკ.	1 მან. 94 კაპ
„ [illegible]	—1 მ. 78 კ.
თურქ. ქაღ. ლირა	— 1 მ.
იტალ. ლირა 100 ცალი	8 მან
ფრანც. ფრან. 100 ცალი	9 მ. 50 კ.
ოქროს მანეთი	12 500 მილიონი.

სახალხო მეურნეობის საფეიქრო, საპნის და ზეთის სახელმწიფო ტრესტი

(მოქმედების მიმოხილვა)

ტრესტის წარმოებებში მუშაობა საერთოდ ნორმალურად მიმდინარეობდა და სამუშაო დღეების რაოდენობა, წინა თვესთან შედარებით, აპრილში მეტია. სრულებით არ მუშაობდა მხოლოდ საპნის ქარხნის ტუალეტის განყოფილება, რადგან სატუალეტო საპნის მარაგი საწყობში საკმაოა.

მუშახელი

აპრილის თვის ბოლოს ტრესტის ყველა წარმოებებში ირიცხებოდა: მუშა—203, მოსამსახურე 27.

[illegible] ტრესტის [illegible] წარმოებაზე [illegible] გამოიწვია პროდუქციის მომატება. აპრილის განმავლობაში შემუშავებულია: ქაღალდის ნართავი 263 ფუთი, ძაფი—80 ფ., გ. ი. საფეიქრო ფაბრიკაში გამომუშავებულია სულ 343 ფუთი, 18 პროცენტით მეტი [illegible] მარტზე. გარდა ამისა, შეუმუშავებიათ: [illegible]—179 ფ. (მარტში 147 ფ) საპონი—4555 ფ. 12 გირვ. (მარტში 3599 ფ) გიდროსკოპიული ბამბა—3204 კილო (მარტში 2381 კილო) და მცენარეული ზეთი—253 ფ. (მარტში 1169 ფ 31 გირვ.) მაშასადამე აპრილში, წარმოება საშუალოდ აღემატება მარტის პროდუქციას 49 ნახ. პროცენტით.

რეალიზაცია

აპრილში გასაღებულია: ნართავი 238 ფუთი 14309 მანეთის ძ. ფ.—66 ფ—4663 მან, ქირურგიული ბამბა—54 ნახ. ფ.—583 ნახ. მან. გიდროსკოპიული ბამბა—434 კილო—2170 მან. [illegible] თოკები—17 ფ.—1426 მან., ზონარი—37 გირ.—125 მ.ნ. საპონი (უბრალო)—4896 ფუთი—38407 ნახ. მან. ტუალეტის საპონი—1764 ცალი—1736 მ. ნ., ქუნჯუთის ზეთი 73 ფ.—838 მან. ბამბის ზეთი 4 თ.—40 მ [illegible] ჩენჩი (ЖМЫХ)—2787 ფ.—2989 მან. საერთოდ [illegible] გასაღებული ნაწარმოების რაოდენობა საგრძნობლად აღემატება მარტის რეალიზაციას. ნართავის და ძაფის რეალიზაციაში ტრესტს კონკურენტები არა ჰყავს ამ [illegible] ტრესტის [illegible] წარმომადგენლები [illegible] საპნის და ზეთის ქარხნის მუშაობის გაფართოება.

კოოპერაცია

წარმოკავშირში

სახალხო მაღაზიის გახსნა.

წარმოკავშირი ხსნის დესიმონოვის მოედანზე საკუთარ სახალხო მაღაზიას. მაღაზიის დანიშნულება: სოფლიდან ჩამოსულ გლეხებისათვის იაფფასიან საქონლის, სახელდობრ, მარილის, სოფლ-მეურნეობის და სხვ. მიწოდება და აგრეთვე ძირითად კოოპერატივების საქონლის გასაღება.

ახალი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები.

გარდა 55 სასოფლო სამეურნეო ამხანაგობებისა რომლებიც ირიცხებოდნენ წარმოკავშირში ა. წ. 1 მაისისათვის, დაარსებულია სხვადასხვა რაიონებში 10 ახალი ამხანაგობა: ტობანიერის სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობა, ქვიშხეთის მეფუტკრეთა ამ-ბა, ამხ. ლენინის სახელობის მებრძოლთა არტელი ახალქალაქის მაზრაში, [illegible] ამ-ბა, სოფ. [illegible] და [illegible] მეხილეთა ამხანაგობები დუშეთის მაზრაში, [illegible] მეხილეთა ამხანაგობა თბილისის მაზრაში და მეტეხის სასოფლო სამეურნეო ამხანაგობა გორის მაზრაში.

აღნიშნულ ამხანაგობათა წესდებები დამტკიცებულია კოოპერატიულ სამმართველოს მიერ.

ლ. დუმბაძის გამგზავრება მოსკოვში.

წარმოკავშირის თავმჯდომარე ამხ. ლ. დუმბაძე წარმოკავშირის გამგეობის დავალებით მოსკოვში გაემგზავრა. მას დავალებული აქვს მოსკოვში [illegible] რეალიზაცია და [illegible] ხონში დასამზადებელ 30,000 ფუთი მატყლის, ნადირევი ხალის ([illegible]) და 20,000 ფუთი [illegible] თამბაქოს რეალიზაციისათვის საჭირო პირობების მომზადება გარდა, [illegible] ნაწარმოების გასაღებისა [illegible] ცენტრალურ ორგანოებისაგან კრედიტის გამოთხოვა და მიღება წარმოკავშირის მიმდინარე ოპერაციებისათვის, კერძოთ ფილოქსერასთან ბრძოლის ორგანიზაციისა და მეცხვარეობის განვითარებისათვის. წარმოკავშირის შუამდგომლობა უმთავრესად ეხება გრძელვადიან სასოფლო სამეურნეო კრედიტის საკითხს.

შეწირულება

თელავის აღმასკომის შუამდგომლობის გამო წარმოკავშირმა შეიტანა თელავის სახალხო თეატრის სამშენებლო ფონდში 250 მანეთი.

მონაწილეობა საკრედიტო საქმეში.

[illegible] სახალხო კომ. ს. დაარსებულ საკრედიტო სექციაში წარმოკავშირის წარმომადგენლათ დაინიშნა ამხ. [illegible]. აღნიშნულ სექციის მთავარი ამოცანა წარმოადგენს საკრედიტო დაწესებულებებიდან კრედიტების გაცემა განაწილების მოწესრიგება.

წარმომადგენლები გენტის კოოპერატიულ გამოფენაზე

წარმოკავშირს განზრახული აქვს გაგზავნოს გენტის კოოპერატიულ გამოფენაზე [illegible] თავისი წარმომადგენელი.

საქართველოს კოოპერაციის ინსტრუქტორთა ყრილობა

კოოპერაციის მდგომარეობა ჩვენში

სამტრედიის რაიონი.

ამ რაიონში შედის ქუთაისის მაზრა ქუთაისის რაიონის გამოკლებით, გურია და ზუგდიდის მაზრის მცირე ნაწილი.

სამტრედიის რაიონში მომუშავე ინსტრუქტორებმა ამხ. ი. რუხაძემ და კომახიძემ გააცნეს ყრილობას კოოპერაციის მდგომარეობა ამ რაიონში. გასული წლის ნოემბრიდან ინსტრუქტორების ცდა იყო რამდენათაც შესაძლოა სწორ ნიადაგზე დაეყენებინა ანგარიშ-წარმოება კოოპერატივებში. დღეს საქმის ეს მხარე მოწესრიგებულია. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს ზოგიერთ კოოპერატივებში სრულებით არ ყოფილა [illegible] ანგარიშები, ზოგიც კი მეტად უწესრიგოთ აწარმოებდა საქმეს, ინსტრუქტორმა შესძლო მიეცა სამტრედიის რაიონის ყველა კოოპერატივებს წლიური ანგარიშების შედგენა, საიდანაც სჩანს, რომ კოოპერატივების საკუთარი თანხები მეტად მცირე პროცენტს შეადგენს და ისიც უმთავრესად ჩადებულია ინვენტარში და არ ღებულობს მონაწილეობას ბრუნვაში. საბრუნავი თანხები ცოტა გამოკლებით ცეკავშირისაა. საერთოდ კოოპერაცია გასულ წელს დიდათ მოისუსტებდა რაიონში. ამის მიზეზია მაშინდელი საერთო ეკონომიური მდგომარეობა. წლის ფასების დაწევამ ფაბრიკატებზე და ფასების აწევამ ნედლეულზე—გაზარდა გლეხობის მყიდველობითი უნარიანობა და დაინტერესება იგი კოოპერატივით. ამგვარათ თუ წარსული წელი დასრულდა კოოპერაციისათვის არა დამაკმაყოფილებლათ, წინამდებარე წელი უკვე კარგ იმედებს აძლევს. წლის თავიდან [illegible] შენიშნულია კოოპერატივებში საქონლის ბრუნვის ზრდა. განსაკუთრებით დიდ უნარს იჩენს რაიონის კოოპერატივები დამზადების საქმეში. ეს საქმე [illegible] უფრო მეტით იზიდავს კოოპერაციისაკენ გლეხობას. მიმდინარე წელს დაარსებულია ორი მთლიანი კოოპერატივი—მარტვილში და სალხინოში. ეს მნიშვნელოვანი პუნქტები დიდხანს მოკლებული იყვნენ კოოპერატივს; დაარსებული ახალი ორგანიზაციები დიდ იმედებს იძლევიან. სამტრედიის რაიონი მეაბრეშუმეობის უმთავრესი ცენტრია საქართველოში. შედარებით წარსულ წელთან მეაბრეშუმეობას წელს უკეთესი პერსპექტივები აქვს. იმ რაიონში, რომელსაც ემსახურება ცეკავშირის სამტრედიის განყოფილება წელს დარიგდა 60 [illegible] კოლოფი აბრეშუმის თესლი კოოპერატივების საშუალებით. კოოპერატივები აშენებენ ოციოდე ახალ ფარდულს აბრეშუმის პარკის [illegible]. ცეკავშირის საბანკო განყოფილების ხელმძღვანელობით გახსნა საკრედიტო განყოფილებები სამტრედიაში, ვანში, [illegible], ხონში, ადგილობრივ კოოპერატივებთან. გადაწყვეტილია აგრეთვე განყოფილებების გახსნა [illegible] და ხონის კოოპერატივების მიერ, მოითხოვენ გახსნას [illegible] და [illegible] კოოპერატივები. თუმცა თავის დროზე არ გატარებულა რაიონში საყოველთაო წევრობა, მაგრამ [illegible] კოოპერატივების ორგანოების არჩევნებს [illegible] ჰქონდა [illegible] ადგილი [illegible] ყველა ღებულობდა მონაწილეობას. სწარმოებს კამპანია ნებაყოფლობით წევრობაზე გადასასვლელათ. 1924 წლის 1 იანვრისათვის რაიონის კოოპერატივთა აქტიური წევრების რიცხვი იყო 2 379, [illegible] 8,418 [illegible]; საპაიო თანხა 14 000 მანეთი. რაიონში ფართოთ სწარმოებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა კოოპერატიულ ნიადაგზე, [illegible] საზოგადოება „[illegible]", არის მოწყობილი მთელი რიგი საცდელ [illegible]. [illegible] კოოპერატივი [illegible] მუშაობს: აქვს [illegible] მოწყობილი [illegible]—ჰყავს 120—მდე [illegible] და 60 ღორი. ამავე კოოპერატივმა მოჰკიდა ხელი მეფუტკრეობასაც.

ზუგდიდის რაიონი.

ზუგდიდის რაიონის კოოპერაციის მდგომარეობა გააცნო ყრილობას ინსტრუქტორმა ამხ. [illegible]. კოოპე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ორგანიზაციების რეორგანიზაცია ... რაიონში შერწყმ. ...კოოპერატიული ორგანიზაციის ყველა დაწვრილებით ...რეორგანიზა... ახალი ორგანიზაციების მუშაობა დაიწყო მაშინ, ...ცეკავშირმა ზუგდიდში გახ... ...ის განყოფილება, ე. ი. ... ამ ქამათ რაი... ...ობს 12 მთლიანი კოოპე... ზუგდიდის, ჩხოროწყუს, ...ის, კარ ხის, ხობის, წა... ...ჯუთის, ხეთის, დარჩელის, ...ჯის და ფ ხულის. ამათ ...ნილი დაარსებულია ზუგ... ...რის სასოფლო-სამეურნეო ...ულტურის" ლიკვიდაციის ...რთო საერთო რიცხვი ამ ...ებში 1,400 კაცს არ ...სიამაო გ დასახადი არის 2 მანეთი. კოოპერატივებს საკუთარი თანხები არა აქვთ. სამწუხაროთ ხშირათ ცენტრშიც არ არის საქონლის საჭირო ასორტიმენტი. ამის გამო კოოპერატივების ბრუნვა მეტად მცირეა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზუგდიდის მთლიან კოოპერატივს, რომლის თვიური ბრუნვა 10—15 000 მანეთს უდრის.

ფოთხუსაში ახლად გახსნილი კოოპერატივი „ელორძანებამ" აწარმოებს თამბაქოს ოპერაციებს. დიდი სამზადისია მარკას ოპერაციისათვის. მაზრის კოოპერატივები აწყობენ ოთხ ახალ ფურნეს პურის საშრობით.

ანგარიშ წარმოება კოოპერატივებში მოისუსტებს და ინსტრუქტორს ამ კოოპერატივების შემოვლის დროს უხდება თვითეულში სამ-სამი კვირა მუშაობა ანგარიშების ცნობაში მოსაყვანათ.

კავშირთა ეროვნული შემადგენლობა

...ავშირთა შემადგენლობა.

...ვეტი საქართველოს ...ირებში ქართველები შეადგ... 17 პროცენტს, სომხები— ...ც, რუსები—17 8 პროც, ...ნარჩენი ეროვნებანი—9,3 ...მოქალაქენი შემადგენლო... ...ბის პრეზიდიუმს წევ... ...სახისმეტყველ მუშაკებთან ...ძლევა შემდეგ სურათს: ...მუშაობს სულ —12, ანუ ...ცენტი, სომეხი— 6, ანუ 26,1 ...რუსი—2, ანუ 9 პროც. ...სხვა ეროვნების—1 ანუ

...წევრთა და პროფსაბჭოს ...რაოდენობის პროცენტული ...ს გვიჩვენებს, რომ ქართველ... ...ვნელ ორგანოებში 7,2 ...ცენტით სჭარბობენ, ხოლო სომ... ...პროცენტით ქართველების ...ის პროცენტულს სიჭარბე ...რუსების ხარჯზე, რომლის... ...მი მხოლოდ 9 პროც.

...ის გამგეობათა შემადგენლობა.

...საქართველოს პროფკავ... ...ტრალურ გამგეობაში მუ... 107 ქართველი ანუ 48 ...ხი— 49 ანუ—22 პრო... ...სი—47 ანუ 21 პროც. და ...ნების—20 ანუ 9 პროცენ... ...მ ცნობებს შ ვ დარებით პროფკავშირთა წევრების საერთო რაოდენობას, ჩვენ დავინახავთ, რომ ცენტრალურ გამგეობებში ქართველები 5,7 პროცენტით ნორმაზე ნაკლებს შეადგენენ, სომხები 2.8 პროცენტით მეტია ნორმაზე, რუსებიც ნორმაზე მეტი არიან 8.2 პროცენტით, სხვები 0,3 პროც. ნაკლები არიან.

საქარხნო კომიტეტების და ადგილკომების შემადგენლობა.

საყურადღებოა აგრეთვე ტფ. ქარხ. კომიტეტების და ადგილკომების მუშაკთა ეროვნული შემადგენლობა თბილისში და ამ შემადგენლობის და წევრთა საერთო რაოდენობის პროცენტული შეფარდება.

კავშირების ქართველი წევრები შეადგენენ სულ თბილისში 14 709 ანუ 36 პროც, სომხები—12 949 ანუ 31,7 პროც, რუსები—8 902 ანუ 21,8 პროც, ხოლო სხვა ეროვნებანი 4 360 ანუ 10,5 პროც. ხოლო საქარხნო კომიტეტების და ადგილკომების წევრთა შორის ქართველები არიან 339 ანუ 41,8 პროც., სომხები 233 ანუ 28 8 პროც., რუსები—158 ანუ 19,5 პროც. ხოლო სხვა ეროვნებანი - 80 ანუ 10,7 პრ. როგორც ვხედავთ აქ სჭარბობენ ნორმას მხოლოდ ქართველები 5,9 პროცენტით, სომხები არიან 2,9 პროც. ნორმაზე ნაკლები, ხოლო რუსები კი 2,3 პროც. ნაკლები.

ნატორიუმი „არაზინდო"

...რის შემდეგ აბასთუმანში ... სანატორიუმი „არაზინდო". ...ლის შენობა დაამთავრა ...ო საქართველოს პროფ... ...ბი.

...რიუმი „არაზინდო" მდებარეობს ...სთუმანი. აგარაკის დასახ... ...ლოს საკმაო მანძილით ...ლა და გარშემორტყმუ... ...ხშირი ტყეებით, ...დან სულ ზომიერ ...ებული. არაზინდოს მდებარეობა ...თ აგარაკ აბასთუმ... ...ებით დიდი უპირატესობა ...ან აგარაკ აბასთუმანში ...ები შედარებით უფრო ...ის, ხოლო ჩრდილს კი უფ...

...დან რომელიც გადმოდის ...ზღვის მხრისაკენ, „არაზინდო"-მდე გაყვანილია ...რომელიც გველისებურათ ...ზევით მეტის მეტად ...მიმდინარეობს ფიჭვის ტყის

...სანატ. შენობა, რომელ... ...ასის II ფორმა აქვს, ...თავისებულია, შუა კორ... ...ს 4 სართულის და სარდაფის, ფასადის სიგრძე აქვს 36 საჟ. საჟენი, ხოლო სიგანე—8,4 საჟ ნ., გვერდის კორპუსები ზოგი შეიცავს 4 სართულს და ზოგიც ერთ და ორ სართულს, ხოლო სიგრძე კორპუსებისა კი არის 24 საჟენი. ფართობი, რომელიც უჭირავს თვით შენობას. უდრის— 547,50 კვად. საჟ. ხოლო გარემოცვის მიდამო, რომელიც არტყია შენობას, უდრის 2,450 კვად. საჟ ნს, ასე რომ მთელი მიდამო, რომელიც დაკავებული აქვს სანატორიუმს, შეადგენს დაახლოვებით 3 000 კვად. საჟენს. აქ ნაძვნარი ვერ არის, რის კი ახლო მდებარე ნაძვნარიანი ქედები

სანატორიუმი მთელი თავის სამოსამსახურო, სამეურნეო და სხვა საჭირო შენობებით ნავარაუდევია 210 ავადმყოფისათვის. შენობები შემდეგი წესით არის დანაწილებული:

პირველი სართული შეიცავს 10 ოთახს 75 კვადრ. საჟენიან იატაკის მოედნით და დაიტევს 40 კაცს. ასე რომ თვითეულ კაცზე მოდის 1,88 კვადრ. საჟ იატაკის მოედანი (17 კვად. ვერშ.) და 8,75 კუბ. საჟ. ჰაერი.

გარდა ამისა პირველ სართულში არის შემდეგი განყოფილებები: ვესტიბიული (ცნობების მისაღები კანცელარია), ავადმყოფების გასასინჯი ოთახი, ლაბორატორია ოთახი (1 ოთახი) საკონცერტო დარბაზი— (237 კვადრ. არშინ მოედნით), რომელიც 120 კაცს დაიტევს, ოთახი [illegible], სამზარეულო, მზარეულთა ოთახი 2 პირსაბანი ოთახი, საბანაო ოთახი ორი ვანით და სხვა.

მეორე სართულში. ავადმყოფთათვის გამოყოფილია 23 ოთახი 124.20 კვადრატული საჟ მოედანი იატაკით 62 კაცის მოსათავსებლად. ასე რომ თვითეულ კაცზე მოდის 2,00 კვად საჟ. (18 არშინზე იატაკის მოედანი და 3,77 კუბ. საჟ ჰაერი.

გარდა ამისა მეორე სართულში მოთავსებულია: სამკითხველო 36.82 კვად. საჟ. მოედნით. სამკითხველოს გასასვლელი აქვს ხიდზე, რომელსაც 3 მეტრით მის პირდაპირ ქედაზე, რომელიც მიუყვება მთის ფერდობს სანატორიუმის მეორე სართულის თანაბარ სიმაღლეზე. ამ ქედაზე დაკიდებული იქნება საწოლები ავადმყოფთათვის წინეზე გამოსაცვლელად ამავე სართულზევეა მოთავსებული ექიმისა და მოწყალე დების სამორიგეო ოთახები, საპირფარეშო, საბანაო, პირსაბანი ოთახები და სხვა.

ჩვეულებრივ კორპუსის მეორე სართულში ლაზარეთისთვის გამოყოფილია 2 დიდი ოთახი კარანტინით.

მესამე სართულში გამოყოფილია 62 ავადმყოფისათვის 23 ოთახი 124,2 კვ. საჟ მოედნით თვითეულ კაცზე მოდის 2 კვადრ. საჟ. იატაკი და 3,77 კუბ საჟ ჰაერი. ამ სართულშივეა არის ოთახი სამკითხველოსთვის, საბანაო ოთახი, პირსაბანი ოთახი, ჭურჭლების სარეცხი ოთახი და სხვა.

მეოთხე სართულზე 16 ოთახი, 76.06 კვ. საჟენით) დანიშნულია უკვე გამომჯობინებული 46 ავადმყოფისათვის, ასე რომ თვითეულ კაცზე მოდის 15 კვად. არშინი იატაკი და 2.48 კუბ. საჟ. ჰაერი აქვე არის ყოველგვარის ოთახები სხვადასხვა დანიშნულებისათვის, როგორც სხვა სართულში. ამგვარად 210 ავადმყოფისათვის დანიშნულია 70 ოთახი. ამავე დროს თვითეულ ავადმყოფზე საშუალოდ მოდის 1 88 კვად საჟ (17 არშ) იატაკის მოედანი და 3,44 კუბ. საჟ ჰაერი.

შენობას აქვს აგრეთვე დიდი სარდაფი, სადაც მოთავსებულია საწყობები, სამზარეულოები, ავადმყოფთა ნივთების შესანახი ოთახები. სამრეცხაოები, თეთრეულის საშრობი და სამოტორო განყოფილებები და სხვ.

სანატორიუმის ყველა შენობები განათებული იქნება ელექტრონით. ყველა ოთახებში ავადმყოფთათვის [illegible] მაგიდის ლამფებისათვის.

წყლის მიწოდება სანატორიუმისათვის იწარმოებს ახლოდან, რომელიც 2000 ვედრო წყალს იძლევა დღეში და სადაც წყალი გროვდება ნაკადულებიდან ჰერმეტიული ტუმბოებით. გარდა ამისა სანატორიუმისათვის შეძენილია საჭირო ინვენტარი. ასე რომ თვითეულ ავადმყოფს ექნება: 1) რკინის ტახტი ლითონის ზამბარებიანი (ჰოლანდიური) ქსელით, 2) სკამი, 3) გძელი სკამი, 4) ცალკე შკაფი საცვლებისა და ტანისამოსისათვის, 5) საერთო ტუმბო 2 კაცისათვის საწოლთან, 6) საწერი მაგიდა—საერთო 2 კაცისათვის, 8 ქვეშსაგები თეთრეულით 8) ჩაის და სადილის ჭურჭელი.

მოწყობილი იქნება აგრეთვე ავეჯით სამკითხველო ოთახები და საკონცერტო დარბაზი.

სულ შენობის დამთავრება და მოწყობა დაჯდა დაახლოებით 800.000 მანეთი.

წითელი სასადილო

1924 წლის 1 ივნისს ქალ. ტფილისის [illegible] ქალების მცირე ჯგუფმა ინახულა წითელი სასადილო № 3. სასადილო სავსე იყო მოსადილეებით, მათ შორის უმთავრესობას შეადგენდენ მუშები და მათი ოჯახები. ხალხიერობა რიგს უცდიდენ. ყველაფერში ისნდა სისუფთავე. ყველაფერი თავის ადგილზე; სასადილოს მოსამსახურეები [illegible] არიან მოსადილეებთან მოპყრობაში.

შემდეგ ჩვენ დავათვალიერეთ სამზარეულო, სარდაფი და სხვა. სამკითხველოს უჭირავს პატარა ოთახი, შუაზე სდგას გრძელი მაგიდა წიგნებით და ჟურნალებით, კედლებს ამშვენებს ჩვენი ბელადების სურათები ყველაფერს ეტყობა მზრუნველი ხელი. შემდეგ გავსინჯეთ სამზარეულო; სამზარეულოს მოსამსახურეები სუფთათ არიან ჩაცმული. ყურადღება მივაქციეთ აგრეთვე იმ პროდუქტს, რომლისგანაც მზადდებოდა იმ დღის სადილი. უნდა ითქვას, რომ პროდუქტი ახალი იყო და ის საკმაო რაოდენობითაც იყო დამზადებული არ შემიძლია უყურადღებოთ არ მივატოვო იმის, რომ სასადილოს შენობა პატარაა. მე დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ჩვენი წითელი სასადილოების რიცხვი გამრავლდება და ისინი უფრო თავისუფალ და გამოსადეგ შენობებში იქნებიან მოთავსებული; აღვნიშნავ აგრეთვე სადილის ფასებს, რომლებიც გაცილებით ნაკლებია, ვიდრე რომელიმე სამიკიტნოში, სადაც აქამდი იყო [illegible] მუშა. სადილი ორი კერძისაგან ღირს 32 კაპ. წევრებისათვის, ე. ი 50 პროც. უფრო იაფი, ვიდრე კერძო სასადილოებში. ჩვენ, ქალ. ტფილისის დელეგატები და მუშა ქალები [illegible] მივესალმებით კოოპერაციის და წითელი სასადილოების გახსნის იდეას და ვაცხადებთ, რომ ამ სასადილოების საშუალებით საბჭოთა ხელისუფლებამ ჩაბმული ქალები თავს დააღწევენ სამზარეულოს და ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებასა და ჩვენ მუშა ქალებთან ხელი ხელ ჩაკიდებული ბოლომდი გავატარებთ ამ იდეას.

დელეგ. ქ. [illegible].

წითელ ჯარში

ჯარში გაწვევის კამპანია ხოფ. დიღომში (თბილისის მაზ.)

კვირას, 25 მაისს, მეოთხე რაიკომის დავალებით სახალხო კავშირის ახალგაზრდობის კავშირის უჯრედი მთელი შემადგენლობით გაემგზავრა სოფელ დიღომში 1902 წ. დაბადებულთა წითელ ლაშქარში გაწვევის კამპანიის ჩასატარებლად. უჯრედს თან ახლდა სამხედრო ორკესტრი.

მოწვეულ იქნა მიტინგი, რომელსაც 700 კაცამდი დაესწრო. მიტინგს ხსნის ალმასკომის თავმჯდომარე. წითელ ჯარის მნიშვნელობაზე სიტყვას ამბობს ამხ. ლომაძე—ქართულ დივიზიის პოლიტგანყოფილებიდან, და სახალხო კავშირიდან—ამხ. ურუშაძე, რომლებიც ვრცლად და მგზნებარეთ ხსნიან წითელი ჯარის წარმოშობას, მის მნიშვნელობას, თუ რისთვის უნდა გვყვარდეს ჯარი მუშათა წითელი ლაშქარი, თუ რა აქვს გასაკეთებელი მომავალში წითელ არმიას და რა განსხვავებაა გლეხის ინტერესების დასაცავად, იმპერიალისტურ ძველ ჯარსა და დღევანდელს წითელ ლაშქარს შორის.

ქალთა ორგანიზაციის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. [illegible] ხონიკეძე, რომელიც მოუწოდებს დედებს ხალისით გაგზავნონ თავიანთი შვილები სოციალისტური სამშობლოს და მათი ინტერესების დასაცავად

მეოთხე რაიკომის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. შავგინი.

ილაპარაკეს აგრეთვე ამავე საკითხზე რამოდენიმე ადგილობრივ ამხანაგებმა.

მოსაწვევთა ამბის ერთხმად იქნა მიღებული რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ისინი არიან თავიანთი შვილები ბედნიერად გაგზავნონ წითელ ლაშქარში, სადაც ისინი დაიცავენ მუშათა კლასის ინტერესებს და, სამხედრო საქმის გარდა, შეიძენენ ცხოვრებისათვის გამოსადეგ ცოდნას.

გ. უ.

მეცნიერება და ტეხნიკა

[illegible]

ნორვეგიელი მკლევარი რ. ამუნდსენი 1918 წლის პირველ ივლისს გემ „მოდ"-ზე გაემგზავრა ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ გემმა ჩრდილოეთიდან შემოუარა ევროპას, გაიარა ციმბირის ჩრდილოეთ ნაპირები და მხოლოდ 1920 ივლისში, ე. ი. ორი წლის შემდეგ მიაღწია ალიასკის დასავლეთ ნაპირებს—ქ. ნომას. 1920 წ. აგვისტოში ამუნდსენი შეეცადა გაეკაფა გზა ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ, მაგრამ ამაოთ. 1922 წლის აგვისტოში ამუნდსენმა კვლავ სცადა ბედი, მაგრამ უკვე რამდენიმე დღის შემდეგ მან დასტოვა გემი (რომელიც განაგრძობდა მოგზაურობას), დაბრუნდა ალიასკაზე და დაიწყო მზადება, რომ იქიდან ჰაეროპლანით გადაელო პოლიუსი და გადაფრენილიყო შპიცბერგენზე. ეს უნდა მომხდარიყო 1923 წ. ზაფხულში, მაგრამ ამუნდსენის მიერ ამ მიზნისათვის ამერიკაში შეძენილი ჰაეროპლანები იმდენად უვარგისი აღმოჩნდნენ, რომ ამუნდსენმა გადაფრენაზე ხელი აიღო ევროპაში ძლიერ აშინებდათ ამუნდსენის ექსპედიციის ბედი და ამიტომ კუნძულ შპიცბერგენზე გაგზავნეს დამხმარე ექსპედიცია, რომელსაც, თუ საჭირო იქნებოდა დახმარება უნდა აღმოეჩინა ამუნდსენისათვის.

გემი „მოდ", მას შემდეგ რაც ის დასტოვა ამუნდსენმა, მოხვდა ყინულიან მთებში და მასთან ერთად მოძრაობს. „მოდ"-ზე მოწყობილია რადიო-სადგური, ისე, რომ მისგან დაუყოვნებლივ მოდის ცნობები. „მოგზაურობა" დღემდი ნელა მიმდინარეობდა, ყინულიან მთებს გემი მიჰქონდა ვრანგელის კუნძულიდან ციმბირის ნაპირებისაკენ მაგრამ აქ მას დიდი საფრთხე მოელის—ჩრდილოეთ ოკეანეს კუნძულების აღმოსავლეთის ნაპირებიდან პოლიუსისაკენ განუწყვეტლივ მოძრაობენ უზარმაზარი ყინულიანი მთები, რომლებსაც შეუძლიათ გზა შეუკრან „მოდს" და შესაძლოა ნამსხვრევათ აქციონ კიდეც. ასეთი ბედი ეწვია 1881 წელს ამერიკის ხომალდ „ჟანეტტას", რომელიც ჩრდილოეთისაკენ იყო გაგზავნილი. 1881 წელს ეს ხომალდი მოხვდა ყინულიან მთებში და დაიმსხვა ა. მეზღვაურები და სხვები ვინც კი იყო გემზე სიმშილით დაიხოცა. აქამდე ასეთი საფრთხე ამუნდსენის თანამგზავრებს არ მოელით, რადგან სურსათის მიწოდება ჰაეროპლანებითაც შეიძლება.

ამჟამად ამუნდსენი ამზადებს საჰაერო ექსპედიციას ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ. ამუნდსენი განზრახვა აქვს გადაფრენა პოლიუსისაკენ დაიწყოს ა. წ. ზაფხულში.



რ. ამუნდსენი



ჩრდილოეთ პოლიუსის რუქა

საბჭოთა სასამართლოში

სახელმწიფო ქონების გაფლანგვისათვის

ტფ. საქ ოლქის სასამართლოში გაირჩა მოქალაქე არმენაკ ბარსეგოვის საქმე, რომელსაც ბრალად ედება ს. ს კ—ის 116 მ. 1 ნაწ. 119 და 197 მუხლებში გათვალისწინებული ბოროტმოქმედება ბრალდებული ბარსეგოვი უპარტიო მუშაა, მსახურობდა ს. 3 უ საბჭოს სათბობ მასალის ერთ-ერთი საწყობის გამგის თანაშემწეთ. მიუხედავად იმისა, რომ სათბობ მასალის განყოფილება დროზე აწვდიდა ბარსეგოვისადმი რწმუნებულ მაღაზიას სათბობ მასალის საჭირო რაოდენობას, ბარსეგოვი მეტად ხშირათ გზავნიდა განყოფილებაში მასალის მოთხოვნილებას. განყოფილებას ეჭვი დაებადა, დანიშნა მაღაზიის რევიზია და აღმოაჩინა, რომ ხსენებულ ბარსეგოვს გაუფლანგავს 22 ფუთი და 26 გირ. ნავთი, 10 ფუთი მოტორის ნავთი და 13 ფ. 4 გირ. სამანქანო ზეთი. რევიზიამ აღნიშნა აგრეთვე ის ფაქტი, რომ მაღაზიის გამგეს ბოროტმოქმედების დაფარვის მიზნით წყალი ჩაუსხამს ნავთის რეზერვუარში. სასამართლომ ბრალდება დამტკიცებულათ სცნო და თანახმად ს. ს კ—ის შესაფერ მუხლებისა მიუსაჯა ბრალდებულს თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით—ქონების გაფლანგვისათვის და ასეთივე სასჯელი 3 თვის ვადით—საქონლის გაყალბებისათვის. საერთო სასჯელათ მიღებულ იქნა თავისუფ. აღკვეთა ერთი წლით. დასასრულ სასამართლომ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის სოციალური და ქონებრივი მდგომარეობა, აგრეთვე მისი [illegible] და სასჯელის ვადა განუსაზღვრა 3 თვით. სასამართლომ ხარჯები დააკისრა ბრალდებულს

ცოლის მკვლელის გასამართლება

ა. წ. 4 ივნისს ალმ. საქ. ოლქის სასამართლომ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე გლადკოვი, მსაჯულნი—კოლიაშვილი და [illegible], პროკ. თანაშემწე მაისურაძე და მდივანი ელისაშვილი—გაარჩია [illegible] გლეხის ვანო ჯოჯოხაძის საქმე, რომელსაც ბრალათ ედება ს. ს. კ—ის 147 მუხლში გათვალისწინებული ბოროტმოქმედება, სახელდობრ, ცოლის მოკვლა.

ვანო ჯოჯოხაძე დაახლოვებით 15 წლისთვის ცხოვრობდა თავის ცოლთან. უკანასკნელ წლების განმავლობაში ცოლის საქციელი სირცხვილს აყენებდა პატიოსან მშრომელ ქმარს და ღელვებს იწვევდა სოფლელთა შორის: ცოლმა ხელი მოჰკიდა ქურდობას და რამდენიმე ხნის შემდეგ—ქმრის ღალატსაც. ასეთი შემთხვევები თანდათან ხშირდებოდა და შფოთ-შეთხზვას იწვევდა ქმარსა და ცოლს შორის. ერთ ასეთ უთანხმოებების შემდეგ ქმარმა სახლიდან გაქცევა განიზრახა. აღელვებულმა ქმარმა დაავლო ხელი დანას და ცოლს მუცელში ჩასცა. ცოლი [illegible] გარდაიცვალა.

სასამართლომ ბრალდება დამტკიცებულად სცნო და, მიიღო რა მხედველობაში ჯოჯოხაძის სოციალური მდგომარეობა, მისი სილარიბე, პატიოსნება, რომლითაც იგი სარგებლობდა სოფლელთა შორის და სხვა, მოუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით, ხოლო ნოემბრის ამნისტიის შეფარდების შემდეგ სრულიად განთავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან.

ქრონიკა

■ პოლიტგანათლების მთავარი მმართველობა აცხადებს ცნობათ, რომ შეჯიბრება პლაკატ „ძირს წერა კითხვის უცოდინარობა"-ს დამზადებისათვის გადატანილია ა. წ. ივნისის 28 თვის.

■ ნიკოლოზისეული ფულები. უკანასკნელ ხანს სპეკულიანტები კვლავ ცდილობენ გაასაღონ ნიკოლოზისეული ქაღალდის ფულები შაურიანი და ათშაურიანი და ვერცხლის ფულები. აფერისტები ნიკოლოზისეულ ფულებს აჩვენებენ სოფლელებს და ამით ცდილობენ უწესრიგობა შეიტანონ ფულის რეფორმაში, რითაც აგრეთვე ზიანს აყენებენ მშრომელ ხალხს მატერიალურათ. ფინანსთა კომისარიატის დადგენილებით აფერისტობაში შემჩნეული პირები დასჯილნი იქნებიან სასტიკათ.

■ ავჭალის წყალსადენი. ავჭალის წყალსადენი ზაფხულის განმავლობაში ქალაქს მიაწოდებს 1,650,000 ვედრო წყალს.

■ ჟურნ. „სახუნჯა". რედაქციამ მიიღო ყოველთვიური სანიტარულ-პროფესიონალური ჟურნალი „სახუნ-ჯა" № 1.

■ ბაღების და ქუჩების მორწყვა. წყალსადენის სამმართველოს დადგენილებით ბაღების და ქუჩების მორწყვა იწარმოებს. დილის 7 საათზე და საღამოს 7 საათზე.

■ მოძრავი სამკითხველოები. ტფ. პოლიტმმართველობის მიერ მაზრებისათვის უკვე დამზადებულია სამკითხველოები.

■ რევტრიბუნალში. ქართულ დივიზიის სამხედრო რევტრიბუნალში 9 ივნისს დანიშნულია 1 ლ ლეგიონერი ანდრია ბაბუაშვილის საქმის გარჩევა ბრალდება: სიყალბე, ქურდობა და სხვა.

■ უცხოელთა საქმეები. წინადან საქ სახ კომისარიატის საერთო განყოფილებასთან დაარსდა უცხოელთა საქმეების მწარმოებელი მაგიდა.

■ კოოპერატიული კურსები. ცეკავშირმა გადასწყვიტა მოსკოვის უმაღლესი კოოპერატიულ კურსებზე გაგზავნოს თავის ხარჯზე სამი სტიპენდიანტი.

■ საკრედიტო განყოფილებების მოწყობა. ცეკავშირის საბჭომ მიზანშეწონილად სცნო, როგორც ცეკავშირთან, ისე სოფლის კოოპერატივებთან მოაწყოს საკრედიტო განყოფილებები

■ შირაქის არხი. ა—კ ეკონომ საბჭომ შირაქის არხის დასამთავრებლად გადასდო 50.000 მან. ამავე საბჭომ შირაქის ხიდის შესაკეთებლად გადადო 5000 მან.

■ მუშა მოსამსახურეების გაგზავნა კურორტებზე. საქ პროფსაბჭოს ცნობით წელს საზაფხულოთ კურორტებზე გაგზავნილი იქნება 5000 კაცი.

■ [illegible] ელექტრონული სადგური. [illegible] წყლით მამოძრავებელ ელექტრონულ სადგურის აშენება დამთავრდება დაახლოვებით 1925 წლის მეორე ნახევრისათვის. სადგურის ხარჯთაღრიცხვა 1924 წ 1 მაისიდან დამთავრებამდე ნავარაუდევია 3,786,000 მან.

■ გლეხთა კომიტეტების თათბირი. დღეს, 6 ივნისს თბილისში გაიხსნება სრ. საქართველოს გლეხთა კომიტეტების, წარმომადგენელთა თათბირი. თათბირი გაიხსნება ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში.

■ ტელეფონებით სარგებლობა. ფოსტა ტელეგრაფის სამმართველოს დადგენილებით სახელმწიფო დაწესებულებებში, რომელნიც სახელმწიფო მომარაგებაზე იმყოფებიან ზედმეტ ტელეფონებით სარგებლობისათვის ფასს არ იხდიან.

■ [illegible]. ტფ. მაზრის აღმასკომის შუამდგომლობის თანახმად, ტფ. [illegible] უწყებამ გადასწყვიტა მაზრებში მოაწყოს საუბრები ავადმყოფ-საქონელთა მოვლა-პატრონობის შესახებ.

■ დავალიანების დაფარვა. სადაზღვევო კასამ წინადადება მისცა ყველა წარმოება დაწესებულებებს, რათა დროზე დაფარონ საპროცენტო ანარიცხებით დავალიანებები.

შემთხვევები.

■ დ ა ჭ რ ა. 3 ივნისს, საღამოს 10 საათზე ვაკეში სამხედრო სკოლის მახლობლად მოქ. კარაპეტ კლიტიანცმა სიმთვრალის გამო ჩხუბის დროს დანით დასჭრა სამ ადგილას მუცელში მოქ. არშაკ ოგანეზოვი. დამნაშავე შეიპყრეს.

■ ქ უ რ დ ო ბ ა. 2 ივნისს, ღამით ალექსანდროვის ქ. № 15 გაქურდული იქნა მოქ. კონდრატი ცალქალამანიძის ბინა, წაღებული ნივთების რაოდენობა გამოურკვეველია.

3 ივნისს, ღამით მე 2 თუმანოვის ქუჩა № 36 ფანჯრიდან გადასვლის საშუალებით გაქურდეს მოქ ხაჩატურ ბაბაკოვის ბინა, წაღებულია 165 მან ნივთები.

— ქ უ რ დ ი ს ტ უ მ ა რ ი. 2 ივნისს ღამით, ელისაბედის ქ. № 22 მოქ. [illegible] ალექსანდრე დაუშვილის პურის საცხობიდან ამავე დუქანში ღამის გასათევად მისულმა მოქ. არჩილ გვიმბრაძის მიერ მოპარულია ვერცხლის ქამარი და 16 მან. ფულად ქურდი მიმალულია.

■ ქ უ რ დ ო ბ ა. 2 ივნისს ღამით [illegible] ქ. № 27 გაქურდეს მოქ. პეტრე პოლიკაშვილის ბინა, წაღებულია 600 მან. ნივთები.

■ 3 ივნისს, დილის 10 საათზე შეიპყრეს მოქ. გრიგოლ [illegible] ნაპარავი ხელის საბეჭდი მანქანით, სისტემა „უნდერვუდი" № 21011.

ხელოვნება

ეთნოგრაფიული საღამო

სამშაბათს, 3 ივნისს საოპერო თეატრში გამართული იყო ქართულ სახალხო სიმღერების ეთნოგრაფიული საღამო.

აფიშებში უფრო მრავალი დაპირება იყო, ვიდრე ნამდვილათ ვნახეთ სცენაზე. მაგრამ საღამომ მაინც საინტერესო გამოდგა.

დაიწყო მოსაწყენი მასალით, ე. ი. სიტყვებით.

საერთოდ სიტყვები და ისიც გაჭიანურებული—ეს ერთობ მოსაწყენი რამ არის მუსიკალურ შინაარსით დაინტერესებულ საზოგადოებისთვის.

პირველი სიტყვა ეკუთვნოდა კ. მაყაშვილს მან აღნიშნა ხალხურ სიმღერა მუსიკის მნიშვნელობა, მისი ძლიერი ელემენტები და გავლენა ახლად ევროპიულად დამუშავებულ ჩვენს მუსიკაში. ეს სათავეა მთელი. ჩვენი მუსიკალური შემოქმედებისა და სილამაზისა. ამიტომ მას დიდის ყურადღებითა და სიყვარულით უნდა ვეპყრობოდეთ, რომ მარად ვსწავლობდეთ ჩვენცა და ჩვენი თაობანიც ამ ხალხური უკვდავების წყაროთი.

შემდეგი სიტყვა ეკუთვნოდა ფოცხვერაშვილს. იგი უფრო სკოლიურის მეთოდებით შეუდგა ჩვენი ხალხური მუსიკის დახასიათებას, ზოგიერთი [illegible] გარდა, სიტყვა ერთობ გაგრძელებული და მოსაწყენი გამოდგა.

მან მაინც მკაფიოდ დაახასიათა ქართული ხალხური სიმღერების განსაკუთრებული თვისებანი და ორიგინალობა.

ყველაზე მეტი ყურადღება მიაქცია სამხმოვან სიმღერებზე, სადაც ორიგინალური ხმართვები და საკუთარი ვარიაციები ცალკე ცალკე ხმისა ჰქმნიან ერთ მთლიან ჰარმონიას.

აგრეთვე ჩვენ ხალხურ სიმღერებში ერთი უცნაური ბგერანია ხმისა, რომლის გადმოსაცემადაც თანამედროვე მუსიკალური ტეხნიკა ყოვლად უძლური არის.

ფოცხვერაშვილის აზრით ქართული ხალხური სიმღერა მუსიკა ისეთ დაფარულ სიმდიდრისა და სილამაზეს წარმოადგენს, რომლის გამოაშკარავებაც ნამდვილ რევოლუციას გამოიწვევდა მთელ თანამედროვე მუსიკის [illegible].

საკონცერტო ნაწილი დაიწყო გურიიდან საგანგებოთ გამოწვეულ გურული გუნდით.

მათ სთქვეს ბევრი სიმღერები, ისე, როგორც ნამდვილათ მღერის ხალხი [illegible], უდირიჟოროთ.

შემდეგ ფოცხვერაშვილი იმავე სიმღერებს, ნოტებზე გადაღებულს ასრულებინებდა აკადემიურ გუნდს და ასე თვალსაჩინოთ ხდიდა განსხვავებას ნამდვილ ხალხურსა და ნოტებში [illegible] სიმღერებ შორის.

მეორე ნაწილში ქართულ კახური სიმღერებით გამოვიდა გუნდი დების თარხნიშვილებისა მათ ყოველთვის სიყვარულით უმასპინძლდება ჩვენი საზოგადოება და ეს სიმღერაც ერთი საუკეთესო მაგალითი იყო ამისი.

სთქვეს [illegible] და რამდენიმე საუცხოვო სიმღერა. მხოლოდ უკანასკნელი „მრავალჟამიერ" ვერ იყო მათი შესაფერი. გუნდმა ცოტა მოიკოჭლა და ვერც ბუნებრივ ხალხურ ხასიათს [illegible].

მათ მოჰყვა მაისურაძის გუნდი ისევ ქართლ კახური სიმღერებით.

ქართლ-კახურ მომღერალთა საყურადღებოთ უნდა განვაცხადოთ, რომ [illegible] გარდა არც ერთი სანიმუშო და პირველ ხარისხოვანი სიმღერა არ იყო თქმული. ესენი არიან: მაყრული, ხუმრული, გაზმული მრავალჟამიერი, ურმული და სხვა.

მიამიტი „[illegible] და მუხასა" ან „მ ყვარს ფაცხა" სანიმუშოდ ვერ გამოდგება. ასეთ დამახასიათებელ სიმღერა კი აუცილებლათ უნდა იყოს ყველაფერი რჩეული და სამაგალითო.

შემდეგ გურული გუნდის მიერ შესრულებული იყო სიმღერა [illegible] ანუ უტექსტოთ ესეც ჩვენი ხალხური სიმღერების ორიგინალობის დახასიათება იყო.

ბოლოს საღამო დამთავრდა გურულ გუნდის ფერხულით.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი უფრო მეტს მოველოდით დაპირებასამებრ, ხალხი მაინც ერთობ კმაყოფილი დარჩა და დიდის აღტაცებით ეგებებოდა მომღერალთა ყოველ გამოსვლას.

შემდეგისათვის კარგი იქნება „ეთნო-

საბჭოთა აჭარისტანში

ჩაქვის სახალხო მამული

(ჩვენი ბათომელი კორესპონდენტისაგან)

...ოს სახალხო მეურნეო... ...ქვს მამულის მნიშვნელო... ...ბლია. ვისაც აინტერე... ...უდის ისტორია და მისი ...ე მდგომარეობა, შეუძლია ...ოფ. კ. ლ. ნადენის სიმონსონ... ...ნივის ნაშრომებს ამ სა... ...მიზანია კი მოკლეთ აღ... ...ქვის სახალხო მამულის ...ს საქართველოს სახალხო ...თვის და ამ უმდიდრესი ...რესი სამეურნეო განძის ...მნიშვნელობა მთელი საბ... ...რისათვის.

...ო, ამ მამულს ვერ ექცე... ...ყურადღება, რის გამო ...ა მისი დაქვეითება და ...ც.

...ულია 18,200 დესეტინა ...540 დესეტინა—ჩაის ...88 დესეტინა—ლერწ... ...დეს. მანდარინი, დანარ... ...(ტყეს დაახლოვებით ...ტინა უკავია) უმთავრე... ...ლობა, რასაკვირველია, ...ულტურას.

...ობას ჩაქვში მრეწვე... ...თი აქვს მას დიდი ყუ... ...ჭირობდა მეფის მთავ... ...მაც დიდი კაპიტალი ...აქვში. 1895 წლიდან ...პლანტაციები პროგრე... ...დებოდა, ფართოვდებო... ...ლი მრეწველობის სახეს

...მოწყობილია ჩაის ხაზ... ...ანა, რომელიც ტეხნიკუ... ...ფერილება ეგვიპტის, ან ...ის საუკეთესო ქარხნებს. ...რობაში მოდის ელექტრონით, რომელსაც იგი ღებულობს მამულში ადგილობრივ სპეციალური ჰიდროელექტრული სადგურიდან. ამ სადგურს მოძრაობაში მოჰყავს მამულის ყველა ქარხნები (ჩაის, ხეტყის) და სახელოსნოები (ლურსმნის და სხ.).

ჩაქვის ჩაის პლანტაციებს 29 წლის ისტორია აქვს ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ აქვე მოვიყვანთ შედარებითი ციფრებს იმის აღსანიშნავად, თუ როგორ იზრდება ჩაის მოყვანების და დამუშავების საქმე ჩაქვში 1899 წლიდან.

წელი			გირ. ჩაი.
1899	—	—	1.107
1900	—	—	5 908
1901	—	—	19,808
1902	—	—	41,093
1903	—	—	52 324
1904	—	—	101,043
1905	—	—	102 244
1906	—	—	107,289
1907	—	—	63 659
1908	—	—	142,060
1909	—	—	187,790
1910	—	—	215 541
1911	—	—	183 362
1912	—	—	217,741
1913	—	—	260,756
1914	—	—	265,550
1915	—	—	288,571
1916	—	—	232 242
1917	—	—	192 529
1918	—	—	111,083
1919	—	—	198,606
1920	—	—	204,166
1921	—	—	155,000
1922	—	—	215 000
1923	—	—	310,000.

როგორც მოყვანილ ციფრებიდან ჩანს, 1899 წლიდან—1917 წლამდე (რევოლუციამდე) ჩაის შეგროვება და დამზადება თანდათან ფართოვდება. 1917 წლის შემდეგ, აჭარის განსაკუთრებული პოლიტიკური მდგომარეობის გამო (ოსმალეთ-გერმანიის შეჭრა, ინგლისელების თარეში, დენიკინის ბატონობა, მენშევიკების პერიოდი) ჩაის წარმოების საქმე აიწეწა დაიწყო, რის გამო საგრძნობლად შემცირდა ჩაის დამზადება. აჭარის გასაბჭოების შემდეგ კი მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. 1922 წლიდან ჩაქვის მამული ძველ კალაპოტში ჩადგა, ხოლო 1923 წელს ჩაის მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა. წლის ჩაის მოსავალი, შარშანდელთან შედარებით (წინასწარი ანგარიშით) 60 პროცენტით გაიზარდა. ამ ქამად მამული საგრძნობლად აღჭურვილია და ჩაის შეგროვება დამზადების საქმე მშვიდობიანი დროის რაოდენობას სჭარბობს.

ჩაქვის მამულის მნიშვნელობა გაცილებით დიდია, ვიდრე ეს ბევრს ჰგონია ამ უდიდესი და უპირველესი მამულის (მთელს საბჭოთა კავშირში) მნიშვნელობა არ განისაზღვრება მარტო მისი შემოსავლიანობით. ჩაქვის მამული არის და დიდხანს იქნება მთელ დასავლეთ საქართველოში ჩაის კულტურის გავრცელების ბაზა.

ჩაის კულტურის რაიონებით ითვლებიან: აჭარა, (ჩაქვის სახალხო მამული—540 დესეტინა; სალიბაურის ჩაის პლანტაციები—105 დეს., ახალი სახალხო მამულები—110 დეს. და კერძო პლანტაციები 200 დესეტინამდე) გურია (72 დესეტინა ჩაის პლანტაციები—3 ტარა ქარხნით) და სამეგრელო (15 დესეტინა ჩაის პლანტაციები) ამ ქამად საქართველოს ჩაის კულტურიან მამულების რაოდენობა უდრის 1047 დესეტინას.

საქართველო ერთად-ერთი ადგილია მთელს საბჭოთა კავშირში, რომელიც გამოსადეგია ჩაის კულტურისათვის. გამოანგარიშებულია, რომ საქართველოში შეიძლება 120 000 დესეტინა ჩაის კულტურის გაშენება. 120 ჯერ მეტის, ვიდრე დღეს არის) ამ მაგალითად:

ზუგდიდის მაზრაში ჩაის კულტურისათვის გამოსადეგი მამულების რაოდენობა უდრის—35,000 დესეტინას. ოზურგეთის მაზრაში—33,200 დეს., აჭარაში—24 000 დეს., სენაკის—22,000 დეს., აფხაზეთში—5,800 ნავარაუდევია, რომ ჩვენში 1 დესეტინა ჩაით გაშენებული მამული წლიურად იძლევა 800 გირვანქა დამზადებულ ჩაის.

თუ ჩვენ შევძლებთ 120 000 დესეტინა მამულის მოშენება ჩაით—ყოველწლიური მოსავალი იქნება 96 მილიონ დამზადებულ ჩაის, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებს მთელი საბჭოთა კავშირის ბაზარს. აი როგორი მომავალი აქვს ჩაის კულტურას ჩვენში, თუ შევძლებთ ამ კულტურის გავრცელების ბაზის—ჩაქვის სახალხო მამულის დაცვა და უზრუნველყოფა, ჩვენს ჩაი ღირსებით არ ჩამოუვარდება ეგვიპტის, ინდოეთის, ცეილონის და იავის საუკეთესო ჩაის. მას ფართო ბაზარი ჰქონდა ძველად და რევოლუციის შემდეგ ხომ საბჭოთა რესპუბლიკებში უმთავრესად ჩაქვის ჩაი გადის.

ჩაქვის ჩაის დიდ მნიშვნელობას აძლევს საკავშირო საბჭოთა მთავრობაც. მას კარგად ესმის ამ უდიდესი სამეურნეო კულტურის ფასი და მიმდინარე წლის 3 აპრილს შრომისა და თავდაცვის საბჭომ (СТО), თანახმად საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატის მოთხოვნისა, ფართოთ გაუღო კარი ჩაქვის ჩაის საბჭოთა კავშირის შიდის ბაზარზე საქციზო გადასახადის საგრძნობლად შემცირებით (გასულ წელს 1 გირ. ჩაიზე დაწესებული იყო 1.20 კაპ. საქციზო გადასახადი, წელს—კი მხოლოდ—20 კაპ.)

გარდა ამისა შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე გაყიდული ჩაიდან შემოსული თანხის 1 პროცენტი (აგენტების ბეგარის სახით) გადაიდება საქართველოში ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად. თუ ეს დადგენილება სწორად გატარდა ცხოვრებაში, ჩვენ საშუალება გვექნება ყოველწლიურად გავაშენოთ ათასი დესეტინა ჩაი.

იმავე შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, საზღვარგარეთიდან ს. ს რ. კ. ტერიტორიაზე ჩაის შემოტანის მონოპოლია მიენიჭა საქართველოს მიწათ-მოქმედების კომისარიატს, „ჩაის სამმართველოს" და „ცენტრო-სოიუზს".

ამრიგად, ჩაის კულტურას დიდი პერსპექტივები ეშლება წინ. თუ ჩვენ შევძლებთ ამ კულტურის გაფართოებას და შესაფერის დონეზე დაყენებას, ის უფრო მნიშვნელოვანი სამეურნეო და ეკონომიური ფაქტორი გახდება, ვიდრე ამ ქამად მევენახეობაა ჩვენში.

წელს ჩაქვის სახალხო მამულს უკვე დაუმზადებია 5000 ფუთი ჩაის თესლი ახალი პლანტაციების გასაშენებლად.

მიუხედავად იმ დაუფასებელი მნიშვნელობისა, რომელიც ჩაქვის სახალხო მამულს აქვს და რომლის შესახებ ზევით ვილაპარაკეთ, მას ვერ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. მამულის მუშები დიდი დაგვიანებით ღებულობენ ხელფასს, რაც ცუდ გავლენას ახდენს საერთო მუშაობაზე.

მამულის ადმინისტრაციას, უსახსრობის გამო, ვერ მოუხერხებია ჩაის ფარდულების აშენება, რაც დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს მოკრეფილი ჩაის გადამუშავებისათვის. სეზონობით ჩაქვის მამულში 1500 მდე მუშა მუშაობს. წელს—კი, არაჩვეულებრივი მოსავლის გამო, 2000 მდე მუშა შეგროვდება. საჭიროა მათთვის ბინების აგება, რის საშუალებაც, უსახსრობისვე გამო, მამულის ადმინისტრაციას არ აქვს.

მამულის ჰიდრო ელექტრულ სადგურის დამბები საშინლად დაუზიანებია 1922 წლის წყალდიდობას, რაც დიდ საფრთხეს უქადის ელექტრო სადგურს, რომელსაც, როგორც ავღნიშნე, მოძრაობაში მოჰყავს მთელი მამულის ქარხნები და სახელოსნოები. უფულობის გამო, დამბების შეკეთება ვერ მოხერხდა.

რასაკვირველია ყველა ეს მოითხოვს დიდ ფინანსიურ რესურსებს, რომლის გაღებას მარტო საქ. მიწ. მოქმედების კომისარიატი ვერ შესძლებს ამიტომ განზრახულია შესდგეს ჩაის სააქციონერო საზოგადოება, რომელშიაც შევლენ საბჭოთა კავშირის ძლიერი სამეურნეო და ეკონომიური ორგანიზაციები ეს საზოგადოება შესძლებს ამ საქმის ჯეროვნად გაძღოლას და ჩაის კულტურის გაფართოებას.

ჩაქვის სახალხო მამულის მნიშვნელობა არ ამოიწურება მარტო ჩაის კულტურით. ეს მამული მდიდარია სხვა კულტურითაც: ბზით, ლერწმით, ეუკალიპტით და მანდარინით.

მამულში 4 ათასი დესეტინა ბზაა, რომელსაც გემის სააღმშენებლო მასალათ ხმარობენ. მამული მდიდარია აგრეთვე ეუკალიპტის მცენარეებით, რომელიც ძვირფასი საამშენებლო მასალაცაა, ევკალიპტის ზეთის [illegible] და მალარიის საწინააღმდეგო საშუალებაც. ჩაქვის სახალხო მამული განთქმულია ლერწმითა და მანდარინითაც. სხვა დროს უფრო დაწვრილებით შევეხები ლერწმის, ბზის და მანდარინის კულტურას და შევეცდები დავასაბუთო, თუ რა სიმდიდრე [illegible] ჩაქვის სახალხო მამულის სახით, რომელსაც დიდი მზრუნველობა და პატრონობა ესაჭიროება.

თ. ხ—ძე.

ბათომი, 4 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

თავისუფალი შოფერი

(შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საყურადღებოდ)

ზოგიერთი შოფერები რომ დაუზოგველად აჭენებიან სახელმწიფო მანქანებს, ამის შესახებ ბევრჯერ ყოფილა ხოლმე აღნიშნული გაზეთში და მათ ღირსეული სასჯელიც მიიღეს. მაგრამ სამწუხაროდ, არიან კიდევ, რომელნიც [illegible] არაფრად აგდებენ სახელმწიფო ინტერესებს.

ერთი ასეთთაგანი არის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შოფერი ვინმე კოტიაშვილი.

შოფერი კოტიაშვილი ცხოვრობს [illegible] ქ. და გამვლელი ყოველთვის ნახავს მის ბინის წინ გაჩერებულ ავტომობილს № 2. ავტომობილი მოჰყავს თავის მეუღლის სასეირნოდ. მეუღლე კი თავის მხრივ ავტომობილში სვამს თავის საყვარელ ძაღლს და ამრიგად ძალიან ხშირად, დღითაც და ღამითაც ნახავთ მათ ავტომობილში მოსეირნეს.

არის შემთხვევები, რომ კლუბის გზაზედაც დასეირნობენ ხოლმე.

თუ რა ზედმეტი ხარჯი იქნება ამის შემდეგ ავტომობილს,—ადვილი წარმოსადგენია.

დარწმუნებული ვართ, რომ შინაგან საქმეთა კომისარიატი მიიღებს მის წინააღმდეგ ზომებს.

მუშკორი ხილვანი.

ესენიც პარიკმახერებია?!

(სტუდენტთა სახლის საყურადღებოდ)

სტუდენტთა სასადილოსთან (რუსთაველის პროსპექტი) სამწუხაროდ დაარსებულია სტუდენტთა საპარიკმახერო.

ორი კაცი მუშაობს შიგ, მაგრამ არც ერთი მათგანი ამ პროფესიის არ უნდა იყოს. ეს იქიდან ჩანს, რომ ვისაც იქ გაუპარსავს, მისი სახე საშინელ მდგომარეობაშია: ათას ადგილზე დაჩხვლეტილი და გაფუჭებული. გარდა თავის მუშაობისა, ისინი სასადილოდან ღებულობენ ულუფას უფასოდ.

[illegible] კი ასე „[illegible]“ (!) ასწავლიან?!

სტუდენტთა საბჭოს მოვალეობაა შეაჩეროს ნიშნით სტუდენტთა დახმარების და [illegible] და ნამდვილი პარიკმახერები მოიწვიოს მათ ადგილას.

მუშკორი ძველთაგანი.

წარმოდგენა სამუშაო ფონდის გასაძლიერებლად

31 მაისს ნაძალადევის პროფკავშირის სახელმწიფო სამუშაო კომისიამ დ. მელაშვილის ხელმძღვანელობით წითელარმიელთა ცენტრალურ კლუბში მოაწყო წარმოდგენა სამუშაო ფონდის გასაძლიერებლად. წარმოდგენილ იქნა ყველასათვის ცნობილი პიესა „ორი ობოლი“ 5 მოქ. მელოდრამა. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც თვით [illegible] კავშირთან არსებული დრამატიული წრის მუშა სცენის-მოყვარენი, ისე მოწვეული დამსახურებული მსახიობ-სცენის მოყვარენი, როგორიც არის ს. გოგაშვილი, გ. მაჭ გელაშვილი, ვ. ლორთქიფანიძე და ეკ. კულუმაშვილი.

„ორი ობოლი“ ქართულ თეატრში მინახავს ჩვენი ძველი მსახიობების მიერ წარმოდგენილი, რომელთაც კარგათ უთამაშნიათ, მაგრამ იმათაც მოსვლიათ ცოტაოდენი ნაკლი, რადგან ეს პიესა არც ისეთი იოლი წარმოსადგენია. ამისათვის ვფიქრობდი, როდესაც ამ პიესის სანახავად მივდიოდი, რომ კარგად ჩაივლიდა ჯერ კიდევ გამოუცდელ მუშა-სცენის მოყვარეთაგან. მაგრამ მოლოდინი გამიქარწყლდა, როდესაც ვნახე იქ მოთამაშე მუშა მსახიობნი.

უმთავრეს როლებს ასრულებდნენ შემდეგი ამხანაგები: გრაფის როლს—[illegible], გრაფინიას—კ. ხერხეძე, კავალერი—[illegible]—ს. დავითლოვი, ფროშარს—ს. გოგაშვილი, ჟაკს—ეკ. კულუმაშვილი, პიერის—დ. მელაშვილი, ჰენრიეტას—ვ. ლორთქიფანიძე, ლუიზას—ვ. მარგველაშვილი, პიკარის—ალ. სოლოღაშვილი, ექიმის—გ. მურძენიძე.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მაყურებლებისა [illegible] მეხუთე მოქმედებამ, რომელშიაც ზედმიწევნით კარგები იყვნენ დ. მელაშვილი, ს. გოგაშვილი, ლორთქიფანიძე და მარგველაშვილი.

დანარჩენებმაც კარგად შეასრულეს თავიანთი როლები. ცოტა მომზადება აკლდათ როლებს.

წარმოდგენაზე უკრავდა [illegible] პროფკავშირის მუშებისაგან შემდგარი სიმებიანი ორკესტრი.

წარმოდგენას მუშები მრავლად დაესწრნენ და კმაყოფილნიც დარჩნენ.

ასოთ ამწყობი დ—ძე.

ტფ. დაზღვევ. კასის საყურადღებოდ

სამწუხაროდ, ზოგიერთ უბნის ამბულატორიებში ვერ არის კარგად მოწყობილი საქმე [illegible]. მაგალითად პირველი უბნის ამბულატორიაში ძალიან ცუდად არის დაყენებული კბილის ექიმობის საქმე. აქ იწყებენ ავადმყოფების მიღებას დილის 12 საათიდან და გრძელდება 4 საათამდე. მეორე წყება ექიმებისა მოდის სამუშაოზე 4-დან—8 საათამდის და აი სწორედ ამ ხნის განმავლობაში იმოდენი ავადმყოფები აწყდებიან სამკურნალოს, რომ ექიმები ვერ ასწრობენ მათ მიღებას და იძულებულნი არიან იჩქარონ და ისე დააკმაყოფილონ ავადმყოფები. აქ კი უბედურება იმაშია, რომ ჩქარობით საქმე უყურადღებოდ არ ვარგა. მე ვესაუბრე კბილების ექიმს და როდესაც ვკითხე ექიმ ქალს [illegible], მან მომიგო კბილებს ვერ დაგიმზადებთ, რადგანაც ეს თითქმის ერთ საათს და ყველაფერი რომ [illegible], მაშინ ამდენ ავადმყოფს რა ეშველება. ეს მართალია. მაგრამ განა საკმარისია, რომ ავადმყოფმა ქალმა მოგვარჩინოთ და ის კბილი, რომელიც ხვალ დაავადმყოფებს უყურადღებოდ დასტოვოთ?

დაზღვევის კასამ მუშათა კლასის ინტერესებისათვის ეს საკითხი სასწრაფოდ უნდა მოაგვაროს.

კასის წევრი დ. თავდუმაძე.

დებოში მუშტაიდში

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ)

26 მაისს საღამოს, მუშტაიდის ბაღში შემდეგ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: ვიღაც ორი ახალგაზრდა შეხვდნენ ერთმანეთს და შიგ შუა ბაღში, სადაც ათასობით მოსეირნე იყო, გამართეს კრივი. მოპირდაპირენი ისე სცემდნენ ერთი მეორეს, რომ საშინელი იყო მათი დანახვა. მოსეირნენიც დაფრთხნენ, დამშვიდებული არავინ იყო. აღსანიშნავია ის, რომ იქვე კარუსელთან იდგა ვიღაც მილიციელი და სრული სიმშვიდით უყურებდა ამ კრივს, თითქოს დაინტერესებული ყოფილიყო, რომელი რომელს დასძლევსო. მოქალაქეებმა მიმართეს, რომ ის ჩარეულიყო და გაეშველებინა მოჩხუბარნი, როგორც ქალაქის ადმინისტრაციის წარმომადგენელს: მან ირონიით უპასუხა ხალხს: „მე ამ უბნის არ ვარ და არ არის ჩემი საქმეო“. მოპირდაპირენი კი განაგრძობდნენ თავიანთ ჩხუბს. ამ დროს აქვე აღმოჩნდა მუშკორი ამხ. ანუ მიიდი, რომელმაც გააშველა მოჩხუბარნი.

ნუ თუ მუშტაიდის ბაღი არ უნდა იყოს დაცული ხულიგნებისაგან ადმინისტრაციის საშუალებით.

მუშკორი ელდოხაძე.

მუშათა ქრონიკა

— ახალი შრომის ინსპექტორი. დასავლეთ საქართველოს და აჭარისტანში მომუშავე მიწა ტყის კავშირის წევრთა შრომის დაცვის მიზნისათვის; ამავე კავშირის პლენუმმა დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა შრომის კომისარიატის წინაშე, აღნიშნულ ადგილში მეორე შრომის ინსპექტორის დანიშვნის შესახებ.

— ჩაქვის სახალხო მამულის მუშების მდგომარეობის გამორკვევა. შესდგა კომისია ჩაქვის მამულის მუშების მდგომარეობის გამოსარკვევად და მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. კომისიაში შედიან აჭარისტანის შრომის კომისარი ამხ. მრელიძე, კავშირის მთავარი [illegible] და ერთი პარტკომის წარმომადგენელი.

— ლენინის კუთხეები. [illegible] კავშირის ყველა კლუბებთან და ქარხნებთან 1 ივლისამდე არსდება ლენინის კუთხეები და პოლიტწიგნიერების წრეები მუშებისათვის. ამასთანავე ეს კავშირი თავის მუშათა კლუბთან აარსებს ორკესტრს და საშახმატო წრეს.

—საქონელი ნისიად მიეცემათ. მიღებულია ზომები, რათა თბილისში არსებული ყველა ქარხანა-საწარმოების მუშებს, რომლებიც შედიან მეტალისტთა კავშირში, ნისიად მიეცეთ სხვა და სხვა საქონელი.

— ორი კვირის მაგიერ ერთი თვის შვებულება. როგორც საქართველოს კომისიამ, სადგურის საწარმოს თანამშრომელთა 90 პროცენტს პროფსაბჭოს სამდივნოს დადგენილების თანახმად ორი კვირის მაგიერ მიეცემათ ერთი თვის შვებულება კურორტებზე და დასასვენებელ სახლებში [illegible].

— მუშათა სახლების დასუფთავება. თუ ს მუშათა სახლებში ყოველგვარ არევ დარევის და უწესრიგობის თავიდან ასაცილებლად—მეტალისტთა კავშირმა გადაწყვიტა მათი დასუფთავება, რაც უკვე ენერგიულად მიმდინარეობს.

— ახალი წრეები. 26 კომუნარის სახელობის ქარხნის კოლექტივი ამ ჟამათ აწყობს წრეებს: ფიზიკური კულტურის, პროფმოძრაობის და სახუმარო წრეებს განზრახულია გაიგზავნოს დასავლეთ ნაციონალურ უმცირესობათა კლუბთან არსებულ სკოლაში 15-დე მუშა წერა-კითხვის არცოდნის ლიკვიდაციისათვის.

ანდ. ეღიაშვილი.

— შეცდომის გასწორება. ჩვენი გაზეთის 126 ნომერში „მუშათა ცხოვრების“ განყოფილებაში მოთავსებულ წერილში სათაურით „საბჭოთა წესდებულებაში ასეთ ხანხლობიებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს“, შემდეგი შეცდომა შეგვეპარა: სიტყვები „ზნეობრივად დაცემული, სიბინძურეში მყოფი, ლოთი და სხვა—არ ეხება [illegible]“, ეკუთვნის მოქ. კოლია სერგოს ძე ტატანაშვილს და არა ნინო ოქროშვილს. როგორც ეს შეცდომით არის დაბეჭდილი.

სოფ. მათხოჯი (ქუთაისის მაზრა)

აქ არის სკოლა, ფოსტა-ტელეგრაფი, სახალხო სახლი, საექიმო პუნქტი და სხვა. მხოლოდ სამკითხველო ვერ არის კარგად დაწყობილი—ჟურნალ-გაზეთები და წიგნები არ მოდის თუ მოდის, დანიშნულ ადგილას ვერ ნახავ; მიაქვთ კერძო პირებს და ასე იკარგება. სამკითხველოში თავს იყრიან ახალგაზრდობა და გლეხები.

ყველას სურს გაიგონოს ახალ ამბები, წაიკითხოს რამე, მაგრამ იქ არაფერი არ არის. ამას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ამას უნდა მიექცეს ყურადღება.

მუშკორ შველი.

მთა-აგარაკი „ოხაჩქუე“ (ზუგდიდის მაზრა)

22 მაისს ქ. ზუგდიდში ექიმმა [illegible] წაიკითხა საგულისხმო მოხსენება მთა-აგარაკ „ოხაჩქუეს“ შესახებ.

მოხსენების ნაწილები იყო შემდეგი.

1. წინასიტყვაობა, 2. ისტორიული ცნობები, 3. ოხაჩქუესკენ მიმავალი გზები, 4. ოხაჩქუეს მდებარეობა, ტემპერატურა და ჰავა, 5. სამკურნალო მნიშვნელობა, 6. შედარება საქართველოს სხვა საგარაკო ადგილებთან, 7. ცხოვრება ოხაჩქუეზე, 8. მოაგარაკეთა საერთო დარიგება, 9. სამკურნალო დახმარება და 10. დასკვნა.

მომხსენებელმა საფუძვლიანად და გასაგებად განმარტა თვითეული მუხლი და განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავისი მკურნალობითი თვისებით ოხაჩქუეს ვერ შეედრება ვერც ერთი სხვა მთა-აგარაკი საქართველოში, გარდა ბახმაროსი.

ოხაჩქუესა და ბახმაროს ჰაერის მსგავსება აიხსნება ორთავე მთის ზღვასთან სიახლოვით.

მთა ოხაჩქუე ძევს ქ. ზუგდიდიდან ჩრდილოეთით 40 ვერსის მანძილზე, მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირზე. იგი მიიმართება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 10 ვერსის მანძილზე. მისი ორი საუკეთესო საგარაკო ადგილი დასავლეთით ე. წ. „ოჭკე“ ეკუთვნის სამურზაყანოს მაზრას, ხოლო აღმოსავლეთით „ჯიკიანია“ ეკუთვნის ზუგდიდის მაზრას. მისი სიმაღლე ზღვის ზედაპირიდან უდრის 7073 ფუტს, ე. ი. 1010 საჟენს. მისი მწვერვალი სრულიად ტიტველია მხოლოდ ახლო-მახლო ფერდობები დაფენილია მშვენიერი საძოვარი ბალახით, სადაც ზაფხულობით მეგრელები ჯოგებს მიერეკებიან და მოაგარაკეებსაც იაფად აწვდიან რძეს, მაწონს, ყველს, ხორცსა და სხვას. ტიტველ მწვერვალს ქვემოთ არტყია სქელი ტყე წიწვიანი ფიჭვისა და ნაძვის ხეებისა, რომელიც აქსებს ჰაერს სამკურნალო თვისებების ფისის სუნით.

პირდაპირი ხაზით ოხაჩქუეს მწვერვალიდან ზღვამდე მხოლოდ 80 ვერსი იქნება.

ზღვის ასეთი სიახლოვის გამო, ოხაჩქუეზე შეზავებულია მაღალი მთისა და ზღვის ჰაერი.

გარდა იმისა, რომ ზღვის სიახლოვე ანელებს მთის ჰაერის სიმკაცრეს, მას თან მოჰყვება მარილი, იოდი და სხვა სპეციფიური შემადგენლობა ზღვის ჰაერისა და აი, სწორედ ის აძლევს მას განსაკუთრებულ მკურნალობითი ძალას.

ნიადაგი ოხაჩქუეზე მშრალია. რაც უნდა ხანგრძლივი და კოკისპირული წვიმა მოვიდეს, რამოდენიმე საათის შემდეგ მიწას ნაწვიმარი აღარ ეტყობა.

ოჭკე მდიდარია სასმელი წმინდა წყაროს წყლებით ჯიკიანია კი ამ მხრით უფრო შეღარიბებულია; აქ მხოლოდ ერთად ერთი წყაროა და ისიც ისე სუსტად ჟონავს, რომ მოაგარაკეებს არ ყოფნის და იძულებული არიან ზიდონ წყალი ლახუნ-წყაროდან, რომელიც სვანურად ნიშნავს „ხუთ წყაროს“ და ჯიკიანიადან 1 ნახ. ვერსით არის დაშორებული.

მომხსენებლის აზრით და პრაქტიკული დაკვირვებით ოხაჩქუეს ჰაერი საბოლოოდ კურნავს მალარიით შეპყრობილ ავადმყოფებს, ჭლექიანებს პირველსა და მეორე საფეხურზე, [illegible], [illegible], სისხლნაკლულობით და წევრების ავადმყოფობით შეპყრობილებს და სხვას.

მომხსენებელს თვითონ მოუხდენია რამოდენიმე ცდა ამგვარ ავადმყოფებზე—ოხაჩქუეს ჰაერით მკურნალობისა და ჩინებული შედეგები მიუღია.

ყოველი ეს მოწმობს, რომ ამ აგარაკს უდიდესი მნიშვნელობა და მომავალი აქვს, განსაკუთრებით სამეგრელოსათვის.

მსმენელმა საზოგადოებამ ამ მთის გამოკვლევა და შესწავლა დიდ შენაძენად ჩათვალა კერძოთ ზუგდიდის მაზრისათვის, მადლობა გამოუცხადა მომხსენებელს და დაადგინა: „შუამდგომლობა აღიძრას სამაზრო აღმასკომის წინაშე, რათა მან მიიღოს ზომები ამ აგარაკის სათანადოთ მოსაწყობად და დასაცავად“.

უნდა შეკეთებულ იქნას გზა, დაცულ იქნას განადგურებისაგან ფიჭვნაძვის ტყე და გაშენდეს მუდმივი სადგომი ბინები, მოაგარაკეებს კი აეკრძალოს ახლო მდებარე ტყეში გაჩეხვა ფიჭვ-ნაძვისა საკარვე მასალად. უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ზუგდიდის სამაზრო აღმასკომი სათანადო ყურადღებით მოეპყრობა ამ ძვირფას ადგილს.

ალ. გოგუა.

გრაფიული საღამო არ ამოიწურა მხოლოდ გორულ და ქართლ-კახური გუნდით, არამედ იქ იყო წარმოდგენილი საქართველოს ყველა კუთხე, სადაც კი ჩვენი ხალხური სიმღერა გალობა ხმაურობს თავისი განუმეორებელი ელფერით.

არა მუსიკოსი.

ხანგანათლების თეატრი

შაბათს, 31 მაისს, ხანგანათლების თეატრში ჯანმრთელობის კომისარიატის კომფრაქციამ გამართა სამხატვრო საღამო, რომელზედაც [illegible] მოსამსახურეები დამსწრენი. საღამოს პირველ ნაწილში დრამატიულ დასის მიერ გრიგორიანის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნა რუსულ ენაზე პიესა „ზღვის სიმღერა“. პიესამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზე. შემდეგ წარმოდგენილი იქნა ქართულ ენაზე წაკითხული კომედია „ლუკინა ბრალია“. პიესის ამორჩევლებმა [illegible] და ჩერნიკოვმა თავისი მოხდენილი თამაშით ბევრი [illegible] სიცილის [illegible]. დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი. მომღერლებმა ვ. ლორთქიფანიძემ, გლოდაშვილმა, ისკანდერიანმა და ხოფერიამ შეასრულეს ქართული რომანსები. მახვილმა თავისი შესრულებით განსაკუთრებით მიიპყრო საერთო ყურადღება თავისი შეუდარებელ სახუმარო სცენებით.

ახალგაზრდა მოცეკვავე ქალმა თამარო კერესელიძემ მოხდენილად შეასრულა ცეკვა. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ბალანჩივაძემ, ჩერნიკოვმა და ნიკაშიძემ.

სასურველია უფრო ხშირად გამართებოდეს ასეთი საღამოები.

ა. ნიკოლაიშვილი.

წითელი თეატრი

როგორც ეს მკითხველებს მოეხსენებათ, პირველ მაისიდან სახალხო სახლს სახელად ეწოდა „წითელი თეატრი“. საქართველოს პროლეტკულტმა მიზნად დაისახა ხალხურ სახლის აუდიტორიის გაჯანსაღება, რეპერტუარის გახალისება და პროლეტარულ ხელოვნების აყვავება. საქართველოს პროლეტკულტის შემოსვლით სახალხო სახლში იქმნება ხალხური თეატრის ალორძინება. რუსული სექტორი—ე. იგნატოვის და ქართული—დ. კობახიძის ხელმძღვანელობით უკვე მუშაობენ; მათი პირველი წარმოდგენები უკვე გაიმართა და ხალხი კმაყოფილი დარჩა. ჩვენ მელიტონნი მუშებს იმიტომ გვეხარიან პროლეტკულტის რუსული და ქართული სექტორების შემოსვლა წითელ თეატრში, რომ გვექნება საშუალება მოვისმინოთ გასაგები ენით დაწერილი პიესა.

ვაშა წითელ თეატრს.

მელიტონი.

„თეატრი და ცხოვრება“-ს მორიგი ნომერი (11—14) გამოვიდა. ჟურნალში, სხვათა შორის, მოთავსებულია კ. მესხის ჯერ დაუბეჭდავი და აკრძალული წერილი „სამშობლოდან“.

მოჭიდავე ნესტორ ესებუას იუბილე. კვირას, 7 ივნისს სახელმწიფო ცირკში გაიმართება მოჭიდავე ნესტორ ესებუას 40 წლის იუბილე. ამ დღისათვის რუსეთიდან საგანგებოთ ჩამოდიან საქვეყნოდ ცნობილი მოჭიდავენი: ი. მურთამელი, სიკვლიძის მასკა და მაკაროვი—ჭიდაობენ ესებუა და მურთამელი. აგრეთვე ჭიდაობენ ესებუას სამი ვაჟი. ჭიდაობის შემდეგ გაიმართება საზეიმო სხდომა, რომელზედაც სხვათა შორის წაკითხული იქნება აკაკის და ილიას [illegible] ლექსები ესებუაზე.

სახალხო კონცერტი. პარასკევს, 6 ივნისს სახალხო სახლში გაიმართება დიდი სახალხო კონცერტი. მონაწილეობას კონცერტში მიიღებენ მომღერლები: სანდრო, მიშა, ანდრო, დადო და ნიკო კავსაძეები. გ. ბედინაშვილი, ლ. ჯანდიერი, ვ. უსტიაშვილი, გ. კაპანაძე, ვ. ჩიქვინიშვილი და ქართველ მომღერალთა გუნდი.

პროვინციაში

გორი-ცხინვალის გზა

გორი-ცხინვალის გზის მნიშვნელობასა და მის შეკეთების აუცილებლობაზე ბევრი იწერებოდა. პრაქტიკულ შედეგებს უკვე მივაღწიეთ. გორის სამაზრო აღმასკომის მეცადინეობით ცენტრალურ ხელისუფლების დახმარებით გზა კეთდება. მეორე თვეა მუშაობა აჩქარებული ტემპით წარმოებს, გორიდან დაიწყო გზის შეკეთება. თვით გზა შეკეთებულია, მგზავრები მეორე გზით, ე. წ. ქვის გზით მოგზაურობენ. ყოველდღიურად 80 კაცამდე მუშაობს ეს გზა უკვე შეიძლება ჩაითვალოს გაკეთებულად სოფ. რუისის გადასწვრივ. ეს თითქმის ნახევარი გზა არის სოფ. კარალეთამდე, სადამდის ამ გზას უნდა მოეთავდეს შეკეთება. დღეს, როცა ნახევარი და მეტი საქმე უკვე გაკეთებულია, სწყდება მუშაობა, თანხის სიმცირის გამო. ქალ. თბილისის აღმასკომის დადგენილებით გადადებული თანხა სანახევროდ მიღებულია და მუშებს შორის დარიგებული. თვით აღმასკომის მეურნეობის განყოფილების შემოსავალი მიდის ამ გზის მუშების დასაკმაყოფილებლად, თუმცა განყოფილების თანამშრომელთ ჯერაც აპრილის ჯამაგირი არ მიუღიათ, ისინი იცდიან, ვინაიდან გრძნობენ არიან პასუხისმგებლობით საქმიანობის სურვილით, კერძოდ აღნიშნულ გზის აღდგენით.

ასეთ მნიშვნელოვან გზას დიდი ხარჯები უნდა. სამაზრო აღმასკომის დავალებით და აღმასკომის მეურნეობის განყოფილების გამგის ს. ცხოვრებაშვილის ინიციატივით მოწვეულ იყვნენ გორის სხვადასხვა კოოპერატივების წარმომადგენლები, რომლებიც ამ გზით დიდათ სარგებლობენ. მათ სურვილი გამოსთქვეს დახმარებოდნენ. ცეკავშირის კოოპერატივების წარმომადგენლებმა საკითხი გადაიტანეს მათ კოოპერატივების წარმომადგენლების კრებაზედ. იმედი, როგორც ირკვევა, ამ საკითხმა თავისი ადგილი დაიჭირა და ესლა სათანადო დადგენილება გადაგზავნილია თვით ცეკავშირში. საჭიროა, ცეკავშირი დროზე გამოეხმაუროს ამ საქმეს. იგივე მართებს წარმოკავშირს, რომელსაც, თუ გავითვალისწინებთ ამ რაიონის ხილის მოსავლიანობას ეს გზა დიდათ ესაჭიროება.

ლაზველი.

ონტოფოს თემა (სენაკის მაზრა)

მთელი წლის განმავლობაში იყო ცდა, რომ ონტოფოში დაარსებულიყო საექიმო პუნქტი. ამას ხელს უწყობდა ერთის მხრივ სახალხო აფთიაქის არსებობა, ხოლო მეორეს მხრივ კი ონტოფოს ბუნებრივი მდებარეობა: ონტოფო ცენტრია რამოდენიმე მას გარშემო არსებულ თემის და სოფლების.

მაგრამ ძველ დროს ეს საქმე ვერ მოგვარდა.

დღეს კი ონტოფოს თემს უკვე მიეცა საექიმო პუნქტი, რომელიც დამტკიცებულია სამაზრო აღმასკომის მიერ, ხოლო ონტოფოს გლეხთა საბჭომ სათანადო ბინა დროებით უკვე გამონახა. ამ საქმეში უდიდესი მადლობის ღირსია ამხ. ს. მაჩულია.

მეორე დიდი მნიშვნელობის საქმე, რომელიც გაკეთდა, ეს არის კოოპერატიული განყოფილების დაარსება ონტოფოს თემში. წარსულში კოოპერატივის სახელი მეტად დაეცა ხალხის თვალში, მიზეზები „მოღვაწეების“ გამო, მაგრამ ამ ჟამად სწარმოებს საგრძნობი მუშაობა პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხრით, რათაც შესაძლოა კოოპერატივის პრესტიჟი კვლავ ამაღლდეს. კოოპერატივს ამ ჟამად უკვე დაახლოებით 100-მდე წევრი. შემოღებულია საპაიო გადასახადი—2 მანეთი. სამწუხაროდ ჯერჯერობით საკმაო რაოდენობის აუცილებელი პროდუქტები არ მოიპოვება კოოპერატივში.

მამ. დევითაია.

ტყვიბული

5 მაისს ჩვენს მაღაროებს ეწვია ექიმი ლომაური, რომელიც გამოგზავნილი იყო ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ სანიტარულ განათლების ლექციების წასაკითხად. მაღაროების მრავალრიცხოვან მუშა მოსამსახურეთა კრებამ მოისმინეთ ექ. ლომაურის ლექცია სახალხო [illegible], სიცოცხლის კანონთა და ფრიად საინტერესო ახალგაზრდობის თემის შესახებ. გასაგებ ენაზე წაკითხული ლექცია დიდი ყურადღებით და სიამოვნებით იქნა მოსმენილი.

ულრმეს მადლობას ვუძღვნით ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, რომელმაც არ დაიშურა ხარჯები და საშუალება მოგვცა მოგვესმინა იშვიათი შინაარსის ლექცია. მადლობელი ვართ აგრეთვე პროფკავშირების ლექციის მოწყობისთვის და განსაკუთრებით თვით ლექტორის, რომლის ნიჭიერ გადმოცემის წყალობით ნათელი შეიქნა ჩვენთვის ბევრი გაუგებარი მოვლენა.

ნ.

სეტყვა მანგლისში და პრიუტის თემში (თბილისის მაზრა)

23 მაისს სეტყვამ მთლად გაანადგურა მანგლისის რაიონში დათესილი ყანები და საძოვარი ადგილები. სეტყვა იყო თხილის კაკლის ტოლა, მისივე ფორმის და უწყვეტლივ მოდიოდა ერთი საათის განმავლობაში, იმისთანა სიმძლავრით ნიაღვრით, რომ ხეხილებს ტოტებს ამტვრევდა. გარდა მანგლისისა, პრიუტის თემში მოვიდა ერთ საზოგადოებაში,—დრიში. განსაკუთრებით მანგლისს დიდი ზარალი მიაყენა სეტყვამ, თითქმის განადგურდა დათესილი ყანები, ხეხილების ძირში ჩამოტვრეული ტოტები მრავალი აღმოჩნდა, ახლა იმედოვნებენ ის ტოტებიც, რომელნიც შერჩნენ ხეხილებს,—დაჟეჟილია და მზის დახედვის შემდეგ ისინიც დაჭკნებიან.

ბაკურ ღლონტი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

სამხედრო მაგიდების დაარსების შესახებ 1924 წლ. თებერვლის 6-ს თარიღით და 74 ნომრით გამოცემული დეკრეტის მე-2 და მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სამხედრო მაგიდების დაარსებისათვის 1924 წლ. თებერვლის 6-ს თარიღით და 74 ნომრით გამოცემული დეკრეტის მე-2 და მე-3 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 2. სამხედრო მაგიდის საერთო ხელმძღვანელობა დაევალოს რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, ხოლო ქალაქებში—სამილიციო რაიონის უფროსს. ხოლო საქმის წარმოება და სრული განსაკუთრებული საქმის მწარმოებელს, რომელსაც დანიშნავს მაზრის სამხედრო კომისარი, რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან და სამილიციო რაიონის უფროსთან შეთანხმებით, [illegible] სამობილიზაციო საქმის მცოდნე პირთაგან.

მუხ. 3 სამხედრო მაგიდის შენახვის ხარჯს გაიღებს სამხედრო უწყება.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი პ. საბაშვილი.

1924 წლის 28 მაისი
ტფილისი—სასახლე

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ს. კ. მ. ც. კ—ის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რათა დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ ცეკას სააღრიცხვო-განმან. განყოფილებაში: 1) პეტრე ბეჟაძე, 2) შალვა წითლიძე, 3) დავით ალხაზიშვილი, 4) დავით მიქაძე და 5) ვლადიმერ ცინცაძე.

სააღრიცხვო-განმანაწილ. განყ. გამგის მაგიერი მ. ჯაფარიძე.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება შაბათს, 7 ივნისს, საღამოს 8 საათზე, თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტის შენობაში, აუდიტორია № 4 იწვევს პროლეტარულ სტუდენტების საქალაქო კონფერენციის კომფრაქციის სხდომას.

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა პარტიული დისციპლინის ძალით.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფ. წინადადებას აძლევს ყველა უმუშევარ პარტიის წევრებს, რომელნიც აყვანილი არიან აღრიცხვაზე თბილისის კომიტეტში, გამოცხადდნენ ორი დღის განმავლობაში თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ ქვეგანყოფილებაში ხელახალი რეგისტრაციაზე ასაყვანათ.

ის, ვინც არ გამოცხადდება აღნიშნულ ვადაზე, მოხსნილი იქნება უმუშევართა აღრიცხვიდან.

სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყ. გამგე რახმანი.

განცხადებები

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე ნადეჟდა [illegible]-შვილის ასული მშობლებით, ძმა გრიგოლ მაქსიმეს ძე, დები ნადეჟდა და ბარბარე გეგეჭკორები, რძალი ვერა პეტრეს ასული გეგეჭკორი და სიძე სიმონ გიორგის ძე ხოშტარია აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობ და მეგობართ უძვირფასესი

ერმოლე მაქსიმეს ძე გეგეჭკორის

უდროვოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 8 ივნისს ქალაქ ქუთაისში. ბალახვნის ქუჩიდან საფიჩხიის სასაფლაოზე. მიცვალებულს ჩამოასვენებენ ბორჯომიდან ქუთაისში შვიდს (7) ივნისს დილის 10 საათზე. 1139 1—1

სახალხო სახლი (ზუბალაშვილის)
პარასკევს, 6 ივნისს 1924 წელს გაიმართება
დიდი საღამო
კონცერტი
3 განყოფილებათ
რომელშიაც მონაწილეობენ მომღერლები:
სანდრო კავსაძე
მიშა კავსაძე
ანდრო კავსაძე
დადო კავსაძე
ნიკო კავსაძე
გ. ბედინაშვილი
ლ. ჯანდიერი
შ. უსტიაშვილი
გ. კაპანაძე
შ. ჩიქვინიშვილი
და ქართველ მომღერალთა გუნდი მიხეილ კავსაძის ლოტბარობით, რომელიც შეასრულებს ქართლ-კახურ სიმღერებს. დადგმული იქნება
კომედია „მათიკო“, დან მესამე მოქმედება; მონაწილეობენ მსახიობ
მინდიაშვილი, ვ. მინდიაშვილი, შ. საფაროვი, ვ. ხომასურიძე,
ს. თვარაძე და გლეხურათ გამოწყობილი ძმ. კავსაძენი და სხვა მო
და მოცეკვავენი ბილეთების ფასები ხელმისაწვდომია 15 კაპ.—2 მ
დაწვრილებით პროგრამებში დასაწყისი საღ. 8 ნახ. ს. ბილეთები
გამგე მ. ხვანიძე

თბილისის კომუნალური ბანკის
გამგეობა
ამით აცხადებს, რომ
სასოფლო-სამეურნეო ბანკის საიპოთეკო განყოფ
ბის კომუნალური ბანკისათვის გადაცემის გამო,
ეს განყოფილება
თავისი უწინდელი ბინიდან
(შტაბის ქუჩა № 4)
გადავიდა
კომუნალური ბანკის შენობაში (პუშკინის ქ. № 3
ნ. 1197 1—1

თბილისის აღმასკომის
ელექტრონთა მომწესრიგებელ
სამმართველო
(უ. მ. ს.), განოვის ქუჩა № 6.
ამით აცხადებს, რომ ა. წ. 10 ივნისს, შუა დღის 12 საათზე დანიშ
წერილობითი
საჯარო ვაჭრობა
რომელზედაც გაიცემა სამუშაოები ელექტრონის სადგურის № 4 (
ტონის ქ. № 13) ეზოში ძველი შენობის ნაწილის დასანგრევად, ახალ
სარდაფიანი სადგომის (სივრცით 56 კუბ. საჟ.) მისაშენებლად
ცხენის ძალიანი მამოძრავებლისთვის აგურის საძირკვლის ამოსაყვანად
1) ახალი ასაგები 22 კვ. საჟენამდე,
2) ახალი სახურავი (დაქანებული) 70 კვ. საჟენამდე,
3) ძველი საძირკვლის დანგრევა 15 კუბ. საჟენამდე,
4) ძველი სახურავის დანგრევა 50 კვ. საჟენამდე.
[illegible] სამუშაოების დასამთავრებლად ა/წ. 1 ს
ბერია; მთელი მასალის მიწოდება ელექტრონის სადგურის სამმართ
ნაგავი უნდა გაიტანოს მოიჯარადრემ დაგროვებისთანავე.
ისინი, ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს,
აღნიშნული ვადისთვის უნდა წარადგინოს სათანადო განცხადება
დალუქული კონვერტით ელექტრ. სადგურის სამმართველოს კანც
[illegible], თანაც კონვერტზე უნდა წააწეროს: „ელექტრ. სადგურის
შენობის ასაგებად დანიშნული საჯარო ვაჭრობისათვის“.
განცხადებას უნდა ახლდეს ცალკე ფასები [illegible] სამუშაოებისა და საძირკვლების აგებაზე, სახურავის გამართვაზე [illegible] ელექტრ. სადგურის სამმართველოს ტექნ. განყოფილების ჩანაწერით (ოთახი № 30, ტექნიკური ბიურო): განცხ
ბაში უნდა აღნიშნოს აგრეთვე ყველა სამუშაოს ვადაც.
განცხადებას უნდა ახლდეს:
1) ცნობა იმის შესახებ, რომ მოიჯარადრეს უფლება არა აქ
სთქვას უარი, თუ შეჯიბრების დროს ეს ვაჭრობა მას დაე
2) ქვითარი ელექტრონის სადგურთა სამმართველოს კასაში სა
რის შეტანის შესახებ (800 მანეთისა)
ელექტრონის სადგურთა სამმართველოს გამგე: [illegible]
ნ. 1193—1—1

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
[illegible]
მიხეილ გედევანიშვილის [illegible]
ნერვებით და შინაგან ავადმყოფთათვის, რომლებიც ფიზიკურ
ექიმობას საჭიროებენ
ხელმძღვანელი ექიმი ექ. სვიმონ ყიფშიძის
მისამართი: ტფილისი, გორგასლის ქ. № 20. 126—15—25

ექიმი შ. ზ. მეზრაბიანი
შინაგანი, გულისა და ფილტვის ავადმყოფობები. სპეც. ციების წამ
ბა—[illegible] 915 ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული
დება და წამლობა
რენტგენის სხივებით
დილ. 9—1 ს. დღ. და 6—8 ს. სა[illegible] ბებუთოვის ქუჩა № 23.
895—

1 ივნისს, ღამე [illegible] ქუჩაზე № 6 გაქურდ
სასადილო კონსტანტინე თეიმურაზის ძე ლაბარტყავასი. ფულს და
თებთან ერთად წაიღეს ვაჭრობის ნებართვა, პატენტი მე IV
მე-12 ტე უბნის გადასახადთა ინსპექტორის და სააქციზო სამმართ
დან გაცემული, სარეწაო გადასახადის ხარჯის ფურცელი, [illegible]
რი, გაცემული ქალაქის აღმასკომიდან, ქვითარი დუქნის ქირის
წარსული წლის აგვისტოდან ამა წლის მაისამდე, ელექტრონის
ჩემი პირადობის მოწმობა გაცემული სიღნაღის მაზრის სოფლის თე
აღმასკომიდან, რეგისტრაციის ფურცელი, გაცემული მე 10 თე უბნის სა
ხვა სამმართველოდან, სანიტარული რვეული და სხვა ბევრი
ქაღალდები და დოკუმენტები. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1183 1—

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 18558 რაჟდენ სიმონ
ნუცუბიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1188 1—

დაიკარგა შემდეგი მოწმობები: 1) კომპარტიის ბილეთი მ
საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენ. კომიტეტ
2) თბილისის საბჭოს საწევრო ბილეთი, 3) თბილისის აღმასკომის სა
ლეთი, 4) სახალხო კომისართა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით
და მიღებული [illegible] სახალხო სახლის დასახმარებლად 600 მან.
და სხვა მოწმობები პარმენ ზალის ძე ცინცაძის სახელზე. ჩაითვალოს
მებულად. უ. 1—

დაიკარგა დამზღვევი სალაროს წიგნაკი, გაცემული ამხ.
როსტიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1182 1—

დაიკარგა დამზღვევი კასის წიგნაკი № 4990 [illegible]
სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1184 1—

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მოცემული ქ. თბილისის მილ
უფროსის მიერ და სამსახურიდან დათხოვნის მო
მოცემული რ. გ. ს. კ. მიერ მიხეილ ნიკოლოზის ძე ფუცხვერაშვილ
სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1186 1—

სტამბა „[illegible]“ [illegible] № 4